ბილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 6 – 7 იანვარი, 2018 №4 (7549) ფასი: 50 თეთრი

ლია მუხაშავრია: „სუსმა უნდა გააჩინოს განცდა, რომ ისინი ადამიანის საუკეთესო ინტერესებით მოქმედებენ“

გვ.5

28 დეკემბრიდან

ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი

„რუსეთი საპრეზიდენტო კანდიდატს ლევან ვასაძესთან და მეუფე შიოსთან ერთად შეარჩევს“

გვ.3

გოჩა მირცხულავა: „გიორგი მარგველაშვილი რუსეთს არ გამოადგება“

მიხეილ სააკაშვილი: „დროა, მოვემზადოთ ოლიგარქიული ჭირის მოსაშორებლად“

გიორგი მარგველაშვილი სააკაშვილისთვის გამოტანილი განაჩენით შეშფოთებულია

გვ.4

„სააკაშვილი ციხეში არ მოხვდება“

გვ.2

რომან გოცირიძე: „ტერორისტების მფარველი ხელისუფლება მესამე პრეზიდენტს შეწყალების გამო არ უნდა ასამართლებდეს“

გვ.5

მირიან მირიანაშვილი: „რეგიონში მიმდინარე რადიკალური ცვლილებების ფონზე საქართველოს ხელისუფლების პასიურობა დამღუპველია“

ანაკლიაში პორტის აშენების იდეა ერთი საუკუნის წინ გაჩნდა

გვ.6

ეკონომიკა

გვ.6

გიორგი ჩოგოვაძე: „შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში 3 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბებს“

2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმაზე 72 მილიონი ლარით მეტი დაიხარჯა

ზურაბ გვასალია: „დეპოზიტების დაზღვევამ შესაძლოა სესხებზე საპროცენტო განაკვეთი გაზარდოს“

ISSN 1987-9385

2 ადვოკატი: „მთავარ კითხვას, რამდენი პირი მონაწილეობდა ხორავას ქუჩაზე ორი მოსწავლის მკვლელობაში, შესაძლოა, პასუხი ვერ გაეცეს“

4 პანკისში დაკავებული პირების ადვოკატებს გაუთქმელობის პირობა ჩამოართვეს

6 მაგთიკომი მობილური ინტერნეტის გაძვირების მიზეზებს განმარტავს

4 მამუკა მდინარაძე: „მაგისტრი მოხელის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის“

„სააკაშვილი ციხეში არ მოხვდება“

რომან გოცირიძე: „ტერორისტების მფარველი ხელისუფლება მესამე პრეზიდენტს შეწყალების გამო არ უნდა ასამართლებდეს“

ნონა ცაბაძე

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს საქართველოს სასამართლომ გირგვლიანის საქმეზე პატიმრობა მიუსაჯა. აღნიშნულთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები კეთდება.

„ახალი თაობა“ სააკაშვილის საქმეზე ექსპერტს, ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძესა და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერ რომან გოცირიძეს ესაუბრა.

რამაზ საყვარელიძე:

– ბატონო რამაზ, მიხეილ სააკაშვილს საქართველოს სასამართლომ პირველი განაჩენი გამოუტანა გირგვლიანის საქმეზე და მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სხვადასხვაგვარი შეფასება მოვისმინეთ, რომ ამას პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად, რადგან პრეზიდენტს აქვს შეწყალების უფლება და ასე შემდეგ. რას იტყვით თქვენ?

– ამავე დროს, გავრცელდა პროკურატურის განმარტება, სადაც პროკურატურა ხაზს უსვამს, თუ რას ეყრდნობა სასამართლოს გადაწყვეტილება. გირგვლიანის საქმეზე ცნობილი გახდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ თურმე მთელმა სახელმწიფო აპარატმა მიჩქმალა ეს საქმე. ასე რომ, ამ საქმეს, პოლიტიკურის გარდა, კიდევ მორალური მხარეც აქვს.

– პოლიტიკურში რას გულისხმობთ?

– პოლიტიკურ მხარეში ის იგულისხმება, რომ მაშინდელი სახელმწიფო აპარატი მორალისა და სამართლის წინააღმდეგ მოქმედებდა. დღეს, როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ პრეზიდენტს უფლება ჰქონდა, შეეწყალებინა და ეს არის სამართლის ნორმისა და კონსტიტუციის ნორმის დარღვევა, როდესაც მას ამ უფლებას უზღუდავენ, მიმაჩნია, რომ ეს არის უსამართლო მოთხოვნა.

– თქვენ ამ შეფასებებს არ იზიარებთ?

– არა, იმიტომ რომ კონსტიტუციური ნორმა, ისევე, როგორც სამართლებრივი ნორმა, სამართლიანობას უნდა იცავდეს! თუ რაიმე კოლიზიის გამო ნორმა აღმოჩნდა უსამართლო, ანუ ნორმამ ხელი შეუწყო უსამართლობას, მაშინ სასამართლო ვალდებულია, სამართლიანობის პრინციპით იმოქმედოს და არა ნორმის ფორმალური მხარით. ამ თვალსაზრისითა და ევროპელების შეფასებით თუ ვიხელმძღვანელებთ, მაშინ მიღებული გადაწყვეტილება, ჯერ ერთი, უფრო რბილია, ვიდრე იმსახურებდა ეს დანაშაული, იმიტომ რომ ადამიანი მოკვდა ამ დანაშაულის შედეგად და შემდეგ დაიფარა დამნაშავეები. კიდევ პრობლემა ის არის, რომ ძალიან დიდი დროა გასული ამ დანაშაულის შემდეგ. ეს გადაწყვეტილება უფრო ადრე უნდა მიეღო საქართველოს სასამართლოს. აი, ამაში ნამდვილად მტყუანია საქართველოს სასამართლო.

– ანუ თქვენ აბათილებთ მოწინააღმდეგეთა მოსაზრებას, რომ პრეზიდენტს ჰქონდა შეწყალების უფლება?

– პრეზიდენტს აქვს შეწყალების უფლება და ეს ნორმა დევს, მაგრამ, თუ მან ეს უფლება გამოიყენა უსამართლოდ და სხვა კანონები დაარღვია ამ უფლების გამოყენებით, მაშინ მხოლოდ ამ უფლებაზე აპელირება არასამართლიანობის პრინციპზე, მთლიანად სასამართლოს მიმართ დამოკიდებულების სიყალბეზე მიუთითებს. ე.ი. ყალბია იმ ადამიანების დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ, რომელიც მხოლოდ ამ პუნქტზე აპელირებს და არა მთლიანად გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებულ იმ რიგსა და ევროპული სასამართლოს იმ შეფასებაზე, რომელიც არსებობს. დანაშაულის დაფარვა ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია და როდესაც ის კეთდება არა ერთი პირის მიერ, არამედ მთელი წყებაა ჩართული ამ დანაშაულის დაფარვაში, ეს უფრო დიდი დანაშაული არ არის, ვიდრე ერთი რიგითი პიროვნების მიერ დამნაშავის მიმალვა?!

– ამ გადაწყვეტილებით რამდენად შეილახა ქვეყნის იმიჯი, როგორც ამას ნაციონალური მოძრაობის წევრები აცხადებენ?

– ქვეყანა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ამ პრობლემას ამდენი ხანი გააჭიანურებს, ნამდვილად არის იმის ღირსი, რომ შელახოს იმის იმიჯი! ეს ისევ პოლიტიკური სპეკულაციისთვის ნასროლი ფრაზაა. უამრავი ქვეყანა ვიცით, ამჟამად ისრაელის ყოფილი პრეზიდენტი მახსენდება, სადაც პრეზიდენტები, პრემიერები გასამართლებულან, მაგრამ ქვეყნის იმიჯი არ შელახულა, პირიქით, ჩათვლილა, რომ სამართლიანობა ქვეყანაში თავის ადგილზე დგას. სასამართლო სისტემა მესამე დამოუკიდებელი შტოა ქვეყნის მართვის სისტემაში.

– ერთ-ერთი უკრაინელი დეპუტატი აცხადებს, რომ საქართველოში მიხეილ სააკაშვილისთვის გამოტანილი განაჩენი მისი დაუყოვნებელი დეპორტაციისთვის ყველა იურიდიულ შესაძლებლობას იძლევა. როგორ ფიქრობთ, რამდენად გააქტიურდება ეს საკითხი, რომ მოხდეს სააკაშვილის ექსტრადირება საქართველოში?

– სააკაშვილი ახერხებს, რომ ყველაფერი გადაიტანოს პოლიტიკურ ჭრილში და, ბუნებრივია, მთელი ეს თემატიკა მას პოლიტიკურ ჭრილში აქვს გადატანილი. პოლიტიკურ ჭრილში გადატანა ნიშნავს იმას, რომ ექსტრადიციის საკითხები პოლიტიზებული იქნება და უკრაინა, საეჭვოა, რომ თავის თავს მისცემს სააკაშვილის ექსტრადიციის უფლებას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უკრაინას, საეჭვოა, დასავლელმა პარტნიორებმა მისცენ ამის უფლება.

– რატომ არ მისცემენ?

– საერთოდ სააკაშვილის დაჭერა ბევრი ქვეყნისთვის არასასურველია. დაჭერილი სააკაშვილი მერე რას ილაპარაკებს, მათ არ იციან. სააკაშვილს სიმართლეც ბევრი შეუძლია ილაპარაკოს და ტყუილიც.

– ანუ ისინი ყველანაირად შეეცდებიან, რომ არ მოხდეს სააკაშვილის ექსტრადირება?

– ყველანაირად შეეცდებიან, რომ სააკაშვილი ციხეში არ მოხვდეს.

– ანუ არ უნდა იყოს იმის მოლოდინი, რომ უკრაინიდან სააკაშვილის ექსტრადირება მოხდება?

– არა მგონია, უკრაინისთვის ადვილი იყოს ამის გადაწყვეტა.

– თუმცა უკრაინაშიც ძალიან რთულად აქვს საქმე სააკაშვილს.

– უკრაინაშიც რთულად არის მისი საქმე და უკრაინაშიც ვერ მოხერხდა მისი დაპატიმრება. ვერმოხერხების გარდა, დასავლეთს არ აწყობს, რომ სააკაშვილი ციხეში ჩაჯდეს. სააკაშვილმა ბოლო პერიოდში უამრავი რამ ილაპარაკა, რაც მას აწყობდა, მაგრამ, სიმართლეს შეეფერებოდა თუ არა, არავინ კითხულობდა. მერე ირკვეოდა, რომ ხშირად ტყუილსაც ამბობდა, ანუ სააკაშვილი თუკი ჩადგება იმ სიტუაციაში, რომ მას მოუწევს ლაპარაკი რამეზე, ის იტყვის როგორც მართალს, ისე ტყუილს და ამან შეიძლება ძალიან ცუდი გავლენა მოახდინოს ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწისა თუ ქვეყნის იმიჯზე.

– ეს აშინებს დასავლეთს?

– როგორც ჩანს. სააკაშვილის ნათქვამი ძალიან ადვილად ვრცელდება მასმედიის საშუალებით ნებისმიერ ქვეყანაში. ის მასმედიის ზედაპირზე მყოფი ფიგურაა. მისი დაჭერა და შემდეგ ალაპარაკება, მგონი, ხელსაყრელი არ არის, გინდ უკრაინული იყოს ეს ციხე და გინდ ქართული.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი რომან გოცირიძე კი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში დამოუკიდებელი სასამართლო არ არსებობს და ეს ამ ფაქტმა ნათლად წარმოაჩინა.

რომან გოცირიძე:

– დღეს ქვეყანაში არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო. ამ მოსამართლის სახით ჩვენ მივიღეთ ახალი ურთმელიძე. მსოფლიოში ალბათ პირველად მოხდა, როდესაც პრეზიდენტი გაასამართლეს იმიტომ, რომ მან გამოიყენა შეწყალების უფლება, თავისი კონსტიტუციური უფლება!

– ფიქრობთ, რომ უდანაშაულოა სააკაშვილი ამ საქმეში?

– მან 179 მსჯავრდებულს გაუნახევრა პატიმრობის ვადა. ტყუილად ეძახიან ამ საქმეს გირგვლიანის საქმეს. სწორედ ეს არის პროცესის პოლიტიზაცია. მან გირგვლიანის საქმის დამნაშავეები კი არ შეიწყალა, არამედ 179 ადამიანი შეიწყალა და ამის უფლება ჰქონდა. კლინტონმა თავისი პრეზიდენტობის ბოლო დღეს ორასამდე ადამიანი შეიწყალა და მათ შორის იყო მისი ძმაც, რომელიც დაპატიმრებული იყო ნარკოტიკული დანაშაულის გამო.

– სააკაშვილმა დანაშაული დაფარაო, მოვისმინეთ ასეთი განცხადებებიც.

– არა, ეს სისულელეა! რა, წინასწარ შეუთანხმდა, რომ დანაშაული ჩაედინათ და შემდეგ ამ დანაშაულს აპატიებდა?! ეს ზღაპრებია! ეს არის პრეზიდენტის უფლების შეზღუდვა. ეს, როგორც ცუდი პრეცედენტი, გავრცელდება სხვა პრეზიდენტებზეც. ამით უნდათ დააშინონ დღევანდელი პრეზიდენტიც, შეწყალებების აქტზე, რომელსაც შეიძლება დაუდონ რაღაც პირადი მოტივი.

– ამბობენ, რომ მან დამნაშავეებს, გირგვლიანის მკვლელებს დააფარა ხელი და დანაშაული მიჩქმალა.

– ეს სისულელეა. მაშინ, როდესაც მოქმედმა ხელისუფლებამ ტერორისტები გამოუშვა, ჩატაევიც კი გაათავისუფლა საქართველოს პროკურატურამ, რომელიც აშკარად დამნაშავე იყო და ახლა პრეზიდენტს ედავებიან შეწყალების უფლების გამოყენებას. მაშინ ეს ადამიანებიც უნდა დაისაჯონ. დადგება დრო და დაისჯება ყველა ის ადამიანი, რომლებმაც პოლიტპატიმრები უწოდა კრიმინალებსა და რუსეთის ჯაშუშებს. გამოდის, რომ მათი მოტივიც იყო არა სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური და ამიტომ დაისჯებიან, მათ შორის ის, ვინც გასცა მათი შეწყალების ბრძანება.

– გვესმის შეფასებები, რომ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გახდება მოტივი, რომ სააკაშვილის ექსტრადიცია განხორციელდეს. რას ელოდებით?

– ძალიან ძნელია უკრაინის ოლიგარქიული ხელისუფლების გადაწყვეტილების პროგნოზირება. ის, რაც უკრაინაში ხდება, ყველანაირად სცდება სამართლებრივ ჩარჩოებს. შეიძლება ისარგებლონ, შეიძლება – არა. იქ პროცესი არ არის სამართლიანი. იქ არის წმინდა პოლიტიკური პროცესი და, რა გადაწყვეტილებაც იქნება მიღებული, ამას ვნახავთ. სააკაშვილს ზურგს უმაგრებს დასავლეთი და უკრაინელი მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა, თორემ პოროშენკო უფრო თამამად მოიქცეოდა.

ადვოკატი: „მთავარ კითხვას, რამდენი პირი მონაწილეობდა ხორავას ქუჩაზე ორი მოსწავლის მკვლელობაში, შესაძლოა, პასუხი ვერ გაეცეს“

თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარ მოზარდებს შორის დაპირისპირების საქმეში, რომელსაც 51-ე სკოლის ორი მოსწავლის სიცოცხლე შეეწირა, შესაძლოა, ახალი ექსპერტიზის პასუხი გაჩნდეს.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას საქმეში ბრალდებული ერთ-ერთი არასრულწლოვნის, გ.ჯ.-ს ადვოკატი ტარიელ კაკაბაძე აცხადებს, დაცვის მხარეს დამატებითი კომპლექსური ექსპერტიზა აქვს დანიშნული.

კაკაბაძის ინფორმაციით, ექსპერტიზა უკვე მიმდინარეობს და პასუხები საქმის მასალებს დაერთვება.

მისივე თქმით, გამოძიება მიზანმიმართულად საქმეს არაობიექტურად იძიებს და მთავარ კითხვას, რამდენი პირი მონაწილეობდა 51-ე სკოლის ორი მოსწავლის მკვლელობაში, შესაძლოა, პასუხი საერთოდ ვერ გაეცეს.

– ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ ვერცერთი ექსპერტიზის პასუხი, ასევე მტკიცებულებებიც, რომლებიც ბრალდების მხარემ წარმოადგინა, ვერ პასუხობს დასმულ კითხვებს, თუ რამდენი დანით არის მიყენებული ჭრილობები გარდაცვლილებზე და რომელი დანით რომელი ჭრილობა მიაყენეს. პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ მიგვაჩნია, რომ არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომლებზეც გამოძიებას პასუხი არ გაუცია. შესაბამისად, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ გამოძიება ჩქარობს, რაც ხელს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას არ უწყობს.

ამიტომ დაცვის მხარემ მივმართეთ საქალაქო სასამართლოს გამოძიების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით და მოვითხოვეთ დამატებითი, კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარება, რომელიც უკვე მიმდინარეობს. საგამოძიებო უწყებას მსგავსი ექსპერიმენტი ჯერ არ ჩაუტარებია. ჩვენი მიზანია, დადგინდეს სიმართლე და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ პასუხი გაეცეს ყველა იმ კითხვას, რომელიც ითხოვს სიზუსტეს და საზოგადოებას აწუხებს. ამიტომ დამატებითი მტკიცებულებების მოსაპოვებლად დაცვის მხარე აქტიურად მუშაობს, – განაცხადა კაკაბაძემ.

ცნობისთვის, გასული წლის 1-ლ დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მოზარდებს შორის დაპირისპირებამ 51-ე სკოლის ორი მოსწავლის სიცოცხლე შეიწირა.

საქმეზე პროკურატურის მიერ განზრახ მკვლელობის ბრალდებით ორი არასრულწლოვანია დაკავებული – გ.ბ. და გ.ჯ.

გარდა ამისა, საქმეზე დანაშაულის დაფარვისა და შეუტყობინებლობისთვის ბრალი კიდევ სამ პირს აქვს წაყენებული.

საქმის მასალების თანახმად, გამოძიებით დადგენილია, რომ 1-ელ დეკემბერს თბილისში, აკ. ხორავას ქუჩაზე, ერთ-ერთ ეზოში, მოზარდებს შორის დაწყებული შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა, რა დროსაც გ.ბ.-მ არასრულწლოვან ლ.დ.-ს დანით სხეულზე მრავლობითი დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ლ.დ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა გ.ბ. ცხელ კვალზე, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო. მეორე ბრალდებული გ.ჯ კი პროკურატურას რამდენიმე დღის შემდეგ ჩაბარდა. რაც შეეხება ამავე შემთხვევის დროს არასრულწლოვან დ.ს.-ს დაჭრის ფაქტს, ის რესპუბლიკურ საავადმყოფოში 2 დეკემბერს გარდაიცვალა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„რუსეთი საპრეზიდენტო კანდიდატს ლევან ვასაძესთან და მეუფე შიოსთან ერთად შეარჩევს“

შორენა მარსაგიშვილი

გოჩა მირცხულავა: „გიორგი მარგველაშვილი რუსეთს არ გამოადგება“

რატომ არ იხსენიებს რუსეთის პატრიარქი ილია II-ს სრული ტიტულით, რა დოზით ჩაერევა მოსკოვი საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში, რა რისკების წინაშე დგას საქართველო, რა უნდა გაითვალისწინოს პანკისის მოსახლეობამ? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

გოჩა მირცხულავა:

– პანკისთან დაკავშირებით ყველას სიფრთხილე გვმართებს. გამოძიების დასადგენია, რამდენად არიან კავშირში ტერორიზმთან სუსის მიერ დაკავებული პირები. იმ მასალიდან, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა წარმოადგინა, იკვეთება, რომ დაკავებულ პირებს ჩატაევის გარემოცვასთან რაღაც შეხება ჰქონდათ.

ეჭვები იმან გააჩინა, რომ სუსმა თავიდანვე წელში გამართული ინფორმაცია არ მიაწოდა საზოგადოებას. გარკვეულ კითხვებს აჩენს სპეცოპერაციისას დაჭრილი ახალგაზრდის მიმართ დამოკიდებულებები.

ჩვენ ვხედავთ, რომ დაჭრილზე ზრუნავს ოჯახი. არადა, წესით, დაჭრის შემდეგ სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მასზე. მართალია, ეს ახალგაზრდა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ მასთან პალატაში შესვლა და მისი მონახულება მკაცრად უნდა იყოს რეგლამენტირებული.

ბევრი კითხვა დაისვა, თუ რამდენად კვალიფიციურად ჩატარდა სპეცოპერაცია. ამასთან დაკავშირებით შემიძლია ვთქვა, რომ სპეცრაზმი საკმაოდ კარგად მოქმედებდა – მათ 4 ეჭვმიტანილი გართულებების გარეშე აიყვანეს. ძალიან ცუდი ფაქტია თემირლან მაჩალიკაშვილის დაჭრა, მაგრამ ასეთი რაღაცები სპეცოპერაციების დროს ხშირად ხდება.

ვისარგებლებ შემთხვევით და აღელვებულ პანკისელებს ერთ რამეს ვეტყოდი, ისინი პირველ რიგში საქართველოს მოქალაქეები არიან და ამ ქვეყნის ინტერესები უნდა დაიცვან.

– თქვენი აზრით, განცხადებები, რაც პანკისში კეთდება, სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგება?

– უმჯობესია, თუ პანკისელები უფრო მეტად დაიცავენ საქართველოს ინტერესებს. ჩვენ გამოვიარეთ ძალიან მძიმე წლები, როცა პანკისში ბევრი ცუდი ამბავი ხდებოდა. იქ ძალიან ბევრი წესიერი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ ბნელი ძალები მათ თავიანთი ინტერესებისთვის იყენებდნენ.

გვახსოვს წლები, როცა პანკისი ორგანიზებული დანაშაულის ბუდედ იყო ქცეული და იქ შესვლა შეუძლებელი იყო. ფულის გამოძალვის მიზნით მოტაცებულ ადამიანებს სწორედ პანკისში მალავდნენ. ამაში საქართველოს სხვა მოქალაქეებთან ერთად პანკისელებიც იყვნენ ჩართული.

ამ კუთხეში ბევრი წესიერი ადამიანი

ცხოვრობს, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი წლების მანძილზე ამ უკანონობას ითმენდნენ. ჩვენ არ გვინდა ძველი დროის დაბრუნება. ამიტომაც მოვუწოდებ პანკისელებს, რომ პირველ რიგში სახელმწიფო ინტერესებზე იფიქრონ.

– არის ძველი დროის დაბრუნების საშიშროება? ისევ შეიძლება აირიოს პანკისი?

– ჩვენ გვყავს მეზობელი, რომელიც საქართველოზე დიდი ხანია კბილებს ილესავს. ის დიდი ხანია ცდილობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსაჭრელად ლეგიტიმაცია მოიპოვოს. ეს ყველაზე უკეთესად შეიძლება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით მოხდეს.

კარგი იქნება, თუ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები პანკისში ჩატარებულ სპეცოპერაციაზე არ ილაპარაკებენ. მათაც ჩაატარეს 2012 წელს ლაფანყურის სპეცოპერაცია. მაშინდელი ხელისუფლება პანკისზე აცხადებდა, რომ იქ იყო ტერორიზმის ბუდე.

ლაფანყურის სპეცოპერაცია გამოძიებულია, მაგრამ იქ არის სახელმწიფო ინტერესები და ამიტომ არ გახსნა ფრჩხილები „ქართულმა ოცნებამ“.

– ფიქრობთ, რომ ამ მიზეზით არ მოხდა გამოძიების შედეგების გასაჯაროება?

– აღბათ ამიტომ. თავი დავანებოთ გარკვეულ ნიუანსებს, ჩემი ინფორმაციით, მაშინ საქართველოს წინააღმდეგ შეიძლებოდა დიდი პროვოკაცია მოწყობილიყო. იმ ადამიანებს, რომელთა წინააღმდეგაც სპეცოპერაცია ჩატარდა, შესაძლოა საქართველოს მიმართ ძალიან კარგი ზრახვები ჰქონდათ, მაგრამ რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლას თუ შეეცდებოდნენ, იქ სერიოზული პროვოკაცია მოხდებოდა.

მაშინ საქართველო სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. ისიც კარგად მესმის, რომ პანკისელები ერთმანეთს ენდობიან, მაგრამ არის სახელმწიფო ინტერესები და არის გამოძიება. დაველოდოთ გამოძიების დასრულებას და მერე ვილაპარაკოთ.

რამდენადაც ვიცი, გამოძიებაში ჩართული არიან ჩვენი პარტნიორებიც და ამიტომ არ მგონია, რომ ზედმეტ გადაცდომებს ჰქონდეს ადგილი. რამდენად სწორად დაიგეგმა ეს ოპერაცია, არ ვიცი, მაგრამ თემა ნამდვილად სათუოა. ამიტომ ყველა პოლიტიკოსს ვურჩევ, რომ ამ თემით მანიპულირებას თავი დაანებონ. ახლა პანკისზე ქულების დაწერა არ შეიძლება.

დღეს საქართველოს ძალიან სჭირდება სიმშვიდე და არაფერით არ უნდა დავუშვათ, რომ ჩვენს შინაურ საქმეებში გარე ძალები ჩაერიონ.

– მაშინ, როცა ჩვენ გარშემო სულ არეულობაა და ქვეყანაშიც მძიმე სოციალური ფონია, შევინარჩუნებთ მშვიდობას?

– ჩვენ ამ წუთას ერთი უპირატესობა გვაქვს – აქ პოლიტიკური რყევები უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ არის. სამწუხაროდ, ქართული საზოგადოება ჯერ ვერ მივიდა იმ დონემდე, რომ თავისი სოციალური ინტერესები დაიცვას. ყოველ შემთხვევაში იმას ვერ ვახერხებთ, რომ ჩვენი ინტერესების დასაცავად დავირაზმოთ.

ეს ნებისმიერი ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. მათ იციან, რომ საქართველოში სოციალური პროტესტი მოსალოდნელი არ არის. საქართველოში არ არის ძალა, რომელიც ხალხს სოციალური მოთხოვნებით დარაზმავს. აქედან გამომდინარე რაღაც მნიშვნელოვან არეულობას არ ველოდებით, ისეთი რამე ნამდვილად არ მოხდება, რასაც ხელისუფლების ცვლილება მოჰყვება.

ჩვენ გარშემო შეიძლება კიდევ იყოს სოციალური მოთხოვნებით გამოსვლები, მაგრამ ეს ჩვენ არ გადაგვედება. ქართველები, ცოტა არ იყოს, უცნაური ხალხი ვართ. იმპულსურები ვართ და რა იქნება ჩვენი აფეთქების მიზეზი, თავადაც არ ვიცით.

– ეს ასეა, მაგრამ სოციალურ თემებზე აფეთქება კი არა, გარეთ გამოსვლაც გვიჭირს.

– საქართველოში ადამიანები ფიქრობენ, რომ ის პრობლემები, რომლებიც მათ აქვთ, სხვებსაც აწუხებს და ეს საერთო გაჭირვებაა. რამდენიმე ძალამ სცადა სოციალური მოთხოვნებით ხალხის ქუჩაში გამოყვანა, მაგრამ ვერ მოახერხა.

ახლაც ასე იქნება და ხალხი სოციალური მოთხოვნებით არ გამოვა ქუჩაში. ჩვენი საზოგადოების პროტესტის მიზეზი, შესაძლოა, ხელისუფლების სერიოზული შეცდომა გახდეს.

ხელისუფლება შეცდომას შეცდომაზე უშვებს და ყველაფერია მოსალოდნელი. ამ თემის უტრირება არ მინდა, მაგრამ გასული წლის დამლევს, პრემიერმა კვირიკაშვილმა ნიკა მელიას კი არ აგინა, არამედ ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველს. საუბარია 500.000 ადამიანზე. ქუჩაში არც ეს ნაგინები ხალხი არ გამოსულა.

საზოგადოებაში საპროტესტო განწყობა ვერც ჩადებებმა და მომატებულმა კრიმინალმა გამოიწვია. ჩემი აზრით, საზოგადოება აუცილებლად გამოვა ქუჩაში, თუ ხელისუფლება ისეთ დათმობებზე წავა, რომლებიც სახელმწიფო ინტერესებს დააზიანებს.

– რუსეთის მიმართ დათმობებზე საუბრობთ?

– შესაძლოა, რუსეთის მიმართ იყოს დათმობა, შესაძლოა, სახელმწიფოს საზიანო ნაბიჯი იყოს. ასეთი რამე ნამდვილად გააერთიანებს სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებს. ასეთ შემთხვევაში აპოლიტიკური საზოგადოებაც კი გამოვა ქუჩაში.

რა იქნება ეს გამაერთიანებელი ფაქტორი, ზუსტად ვერ გეტყვით. ჩვენ ძალიან უცნაური ხალხი ვართ. ყველა ამბობს, რომ არჩევნები გაყალბდა, მაგრამ პროტესტის გამოსახატად ქუჩაში არავინ გამოვიდა.

– წელს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. ელოდებით ახალი მესიის გამოჩენას?

– სიმართლე გითხრათ, კონკრეტულ პერსონებთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. დაველოდები, თუ როგორ განვითარდება მოვლენები საპატრიარქოში. მე ერთ-ერთ ინტერვიუში გითხარით, რომ პატრიარქი არც 25 დეკემბერს და არც 4 იანვარს არ გადადგებოდა. ამის მიზეზად დავასახელე, რომ საპატრიარქოში ჯერჯერობით ვერ ლაგდება სიტუაცია. იქ სიტუაცია ისევ დაულაგებელია.

საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთს აუცილებლად ეყოლება თავისი კანდიდატი. იმაზე საუბრით თავს ნუ გამოვიდებთ, რომ ისინი საპრეზიდენტო არჩევნებში არ ჩაერევიან. საქართველოში კი არა, აშშ-სა და საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაერივნენ. რაც შეეხება იმას, თუ ვინ იქნება რუსეთის კანდიდატი, ამაზე ჯერ ვერ ვისაუბრებ.

– საპატრიარქოში არსებული ვითარების დალაგება და რუსეთის კანდიდატი ერთად ახსენეთ. შემთხვევით ეს კანდიდატი ლევან ვასაძე ხომ არ იქნება? ის საპატრიარქოსთანაც ახლოს არის და რუსეთთანაც. ის პატრიარქის მოსაყდრის, მეუფე შიოს, მეგობარია.

– თავად ბატონი ვასაძე თუ უარს იტყვის არჩევნებში მონაწილეობაზე, კანდიდატურა მასთან და მეუფე შიოსთან იქნება შეთანხმებული. ამ ადამიანს საპატრიარქოს რუსული ფრთა დაუჭერს მხარს. კანდიდატს ვასაძე დააფინანსებს. ეს ფული სინამდვილეში რუსული ფული იქნება.

– მეუფე შიოს და ლევან ვასაძის ახლო მეგობარია საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, თუმცა ის არ არის რუსეთუმე. აქედან გამომდინარე, ალბათ მათგან მისი კანდიდატურის შერჩევა არ მოხდება.

– ჯერ ისიც არაა გადაწყვეტილი, მიიღებს თუ არა ის მეორედ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. ამასთან, მან არ ითამაშა პოლიტიკურ ნიუანსებში მეუფე შიოს თამაში. მარგველაშვილი პრაგმატულია და იცის, საქართველო საით უნდა წავიდეს. რუსული განათლება აქვს, მაგრამ რუსეთის პოლიტინტერესების მიმართ აღმატებული დამოკიდებულებით არ გამოირჩევა. ამიტომ ის რუსეთს არ გამოადგება. სხვა კანდიდატურას მოძებნიან. ბატონი ვასაძე არ ითავხედებს და თავად არ დააყენებს კანდიდატურას, თუმცა ეს კანდიდატი მასთან და მეუფე შიოსთან იქნება შეთანხმებული.

– რუსეთის პატრიარქმა ილია II-ს დაბადების დღეც მოულოცა და აღსაყდრების 40 წლის იუბილეც, მაგრამ არც ერთ მისალოცში ის სრული ტიტულით არ მოიხსენია, რაც შემთხვევითობა ნამდვილად არ იქნება.

– რა თქმა უნდა, შემთხვევითობასთან არ გვაქვს საქმე. კირილს ჩვენი პატრიარქის სრული ტიტულით მოხსენიებაში ხელს აფხაზეთის ფაქტორი უშლის. ილია II ასევე არის ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის წინამძღვარი. კირილისთვის და რუსეთისთვის ცხუმ-აფხაზეთის ხსენებაა მიუღებელი.

რუსეთს აფხაზეთში ხელდასმული მღვდელმთავრები ჰყავს. მეორე ფრთასთან აქვს პრობლემა. ეს იმის დადასტურებაა, რომ მოსკოვი აფხაზეთის ეკლესიას ირიბად ცნობს, ჩვენ კი გვეუბნება, რომ აფხაზეთის ეკლესიას საქართველოს შემადგენლობაში აღიარებს.

ოფიციალურ მოსკოვს აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარებული აქვს. კირილი არ წავა კრემლის წინააღმდეგ. ამიტომაც არ მოიხსენია ილია II ცხუმ-აფხაზეთის სულიერ ლიდერად. ეს ნიშნავდა იმის აღიარებას, რომ აფხაზეთი საქართველოა.

ეფესბეს მიერ პატრიარქად აღსაყდრებული კომბინატორის პოზიცია გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, რატომ უყურებს ამას ასე მშვიდად ჩვენი სინოდი. რატომ არავინ გამოთქვა პროტესტი.

– სინოდის წევრებს არც იმაზე გამოუთქვამთ პროტესტი, რომ რუსეთის საპატრიარქო ცხინვალში რუსულ ეკლესიას აშენებს.

– ეს არის დათმობითი პოლიტიკა. ამაზე სინოდმა აუცილებლად უნდა ამოიღოს ხმა. სინოდმა მთელ მართლმადიდებლურ სამყაროსაც უნდა მიმართოს და რუსეთისგანაც მოითხოვოს განმარტებები.

– თქვენი აზრით, რატომ არ აკეთებს ამას სინოდი?

– ის პოლიტიკა, რომ დათვი თუ მოგერევა, ბაბაია დაუძახეო, უგუნურებაა. ამის ლაპარაკი სისულელეა. გადაშალონ ბიბლია და წაიკითხონ, კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილ რაზე წერია.

შემთხვევით არ ვსაუბრობ ხოლმე საპატრიარქოში რუსულ გავლენებზე. ეპისკოპოსების ნაწილი რუსეთთან ვალშია. გარდა იმისა, რომ მოსკოვიდან ძღვენს იღებენ, რუსებს მათზე კომპრომატებიც აქვთ. ამიტომაც არაფერს არ ლაპარაკობენ რუსეთის წინააღმდეგ.

თუ რუსეთს გავემიჯნებით, მაშინ დღის წესრიგში დავაყენებთ ჩვენს ადგილს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც რუსეთს აქვს დაკავებული და ამის გამო გვჩაგრავს.

იბადება კითხვა, ვის უნდა მიმართოს ქართულმა ეკლესიამ მხარდაჭერისთვის – მართლმადიდებელ საეკლესიო იერარქებს თუ მსოფლიო პატრიარქს, რომლებიც პირდაპირი მნიშვნელობით გადააგდეს კრეტაზე. კრეტაზე, მსოფლიო საეკლესიო კრებაზე წაუსვლელობით, საქართველოს საპატრიარქომ რუსული საქმე გააკეთა.

ამაზე მრევლმაც უნდა მოითხოვოს პასუხი.

მიხეილ სააკაშვილი: „დროა, მოვემზადოთ ოლიგარქიული ჭირის მოსაშორებლად“

გიორგი მარგველაშვილი სააკაშვილისთვის გამოტანილი განაჩენით შეშფოთებულია

შორენა მარსაგიშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი არევაძემ სანდრო გირგვლიანის საქმეზე მიხეილ სააკაშვილი დამნაშავედ ცნო და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სანდრო გირგვლიანის საქმეზე საქართველოს მესამე პრეზიდენტს ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით აქვს წაყენებული.

გამოძიების თანახმად, მიხეილ სააკაშვილმა კუდ-ის იმჟამინდელ ხელმძღვანელს დათა ახალაიას სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებულების შეწყალების უკანონო დაპირება მისცა და შემდეგ უკვე შეწყალების კომისიის გვერდის ავლით გერონტი ალანია, მიხეილ ბიბილურიძე, ავთანდილ აფციაური და ალექსანდრე ღაჭავა შეიწყალა, რითაც შექმნა სამართლებრივი ბერკეტი, მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის.

სასამართლოს გადაწყვეტილებას არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა. მეოცნებეები გახარებული არიან, ნაციონალები – დამწუხრებული.

საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი კი შეშფოთებულია. მისი შეშფოთების მიზეზი ის გახლავთ, რომ პროკურატურამ დევნის საფუძვლად გამოიყენა კონსტიტუციური მუხლი შეწყალების უფლების შესახებ.

პრეზიდენტის თქმით, შეწყალების მუხლის უფლების გამოყენების შემდეგ მოხდა პროკურატურის მიერ პოლიტიკური განცხადების გაკეთებაც, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილი აქვს კონსტიტუციური უფლების არასწორ ინტერპრეტაციას.

– როდესაც საზოგადოებისთვის ასეთი მნიშვნელოვანი საქმის განხილვას ვუყურებთ, შემაშფოთებელია, რომ პროკურატურამ დევნის საფუძვლად გამოიყენა კონსტიტუციური მუხლი შეწყალების უფლების. შეწყალების მუხლის უფლების გამოყენების შემდეგ მოხდა პროკურატურის მიერ პოლიტიკური განცხადების გაკეთებაც, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ არის მცდელობა კონსტიტუციური უფლების არასწორი ინტერპრეტაციისა და ამ თვალსაზრისით კონსტიტუციური ბალანსისთვის პრობლემების შექმნის მცდელობა.

ხაზი მინდა გავუსვა იმასაც, რომ საერთაშორისო თვალსაზრისით სწორედ კონსტიტუციური მუხლით დევნის წამოწყება ბადებს სერიოზულ კითხვის ნიშნებს და სერიოზულ ზიანს აყენებს საქართველოს პოლიტიკურ იმიჯს. ყურადღებით დავაკვირდებით ამ პროცესს, რადგან გვიჩნდება ეჭვი, რომ სწორედ ამ მუხლით დევნის განხორციელება ემსახურება კიდევ ერთხელ პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვას და იმ პრეროგატივების შესუსტებას, რაც გააჩნია პრეზიდენტს, – ამბობს მოქმედი პრეზიდენტი.

პრეზიდენტის თქმით, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე და მაშინდელი ხელისუფლების რეაქცია თავიდანვე იწვევდა ქართული საზოგადოების უაღრეს აღშფოთებას. პრეზიდენტი იმასაც უსვამს ხაზს, რომ „ოცნებამ“ ამ საქმეში მონაწილე პირები დააწინაურა.

– ეს აღშფოთება თავის დროზე გაიზიარა სტრასბურის სასამართლომაც, თუმცა ხელისუფლების ცვლილებების ამ სისტემურ დანაშაულში მონაწილე ადამიანებიდან ზოგიერთი დაწინაურებული იქნა. ამან საზოგადოებაში კიდევ ერთხელ გააჩინა უნდობლობა სამართალდამცველი სისტემის მიმართ, – აღნიშნა მარგველაშვილმა.

განაჩენს საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც გამოეხმაურა. მან რუსთავი 2-თან საუბრისას აღნიშნა, რომ ის გაასამართლეს ისეთი ბრალდებით, რომლითაც არც ერთი პრეზიდენტი არ გაუსამართლებიათ უახლეს ისტორიაში.

– მას შემდეგ, რაც ეძებეს ჩემი 19 მილიარდის ვილები, ანგარიშები და აღმოჩნდა, რომ მე ქართველი ხალხისთვის არაფერი მომიპარავს საერთოდ და ყველაფერი, რაც გამაჩნდა, მივეცი საქართველოს, ამ მდაბიო ოლიგარქმა, ჩემი გასამართლება გადაწყვიტა იმ ბრალდებით, რომლითაც არც ერთი პრეზიდენტი, უახლოეს ისტორიაში არ გაუსამართლებიათ – შეწყალების შეუზღუდავი უფლების გამოყენებისთვის. ეს არ არის გირგვლიანის საქმე, როგორც ქოცური პროპაგანდა ასაღებს ამას. ეს არის საქმე, ყოფილი სამხედროების, 133 სამხედროს შეწყალების, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, რუსეთ-საქართველოს ომიდან მოკლე ხანში. ეს არის ის ხელისუფლება, ვინც შეიწყალა საერთაშორისო ტერორისტები, რუსი ჯაშუშები, ძალიან საშიში მკვლელები, ნარკოტიკების გამსაღებლები, რომლებიც ასევე კლავდნენ ჩვენს ახალგაზრდობას და ეს ხელისუფლება მასამართლებს მე შეწყალებაზე?! – განაცხადა სააკაშვილმა.

მისი განცხადებით, ის ხალხი, ვინც მის გასამართლებაში მიიღო მონაწილეობა, კანონის სრული სიმკაცრით აგებს პასუხს.

განაჩენგამოტანილი სააკაშვილი მოწოდებითაც გამოვიდა. მან ერს ხელების დაკაპიწებისა და ოლიგარქიული ჭირის მოშორებისკენ მოუწოდა. ივანიშვილს საქართველოს მთავარ უბედურებად თვლის.

– ივანიშვილი არის საქართველოს დიდი უბედურება. მისი მეშვეობით გვანგრევს მტერი, ჩვენ საქმეებში ხელს აფათურებენ, მათ შორის უკრაინელი ოლიგარქები. მე გავხდი მთავარი თავის ტკივილი პუტინის, უკრაინელი ოლიგარქების და ივანიშვილის. ის, რაც მოხდა თბილისში დღეს, არის პუტინის დავალების პირდაპირი შესრულება სამი ქვეყნის ოლიგარქების და მათი ადგილობრივი შემსრულებლების მიერ. ჩვენ უნდა მოვემზადოთ მათ მოსაშორებლად, გამოვაცხადოთ განსაკუთრებული მობილიზაცია და ამაში ჩავერთვები ძალიან აქტიურად.

5 იანვრის გადაწყვეტილება არის შეშინებული, დამფრთხალი, პატარა გნომის შურისძიება ჩემ წინააღმდეგ. ის სუსტია, კუთხეშია მიმწყვდეული და ბოლომდე უნდა მივიყვანოთ საქმე. საქართველო ისევ უნდა გავათავისუფლოთ და სწორ გზაზე დადგეს. მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა, დროა ხელები დავიკაპიწოთ, მოვემზადოთ ოლიგარქის მოსაცილებლად, – განაცხადა სააკაშვილმა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში.

მამუკა მდინარაძე: „მაგისტრი მოხელის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის“

– მაგისტრი მოხელის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, რადგან შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რომ სასამართლოში მოსამართლის გარდა, გადაწყვეტილებებს სხვა პირიც იღებს მაგისტრი მოხელის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით განუცხადა, რომელიც პარლამენტში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ არის ინიცირებული.

მდინარაძის თქმით, კითხვები შეიძლება გაჩნდეს საკითხის არსთან და პრინციპთან დაკავშირებით.

– ჩვენ ამაზე ვიმსჯელებთ, რადგან შეიძლება ამან გარკვეული კითხვის ნიშნები გამოიწვიოს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია საბოლოოდ კანონში ასე არ დარჩეს, რადგან შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რომ სასამართლოში მოსამართლის გარდა, გადაწყვეტილებებს სხვა პასუხისმგებელი პირი იღებს. აქედან გამომდინარე, ეს არის სამსჯელო თემა და ამ დღეების განმავლობაში საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული, – განუცხადა ჟურნალისტებს მამუკა მდინარაძემ.

სასამართლო სისტემაში ე.წ. მაგისტრი მოხელის ინსტიტუტი შემოდის, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმეებს განიხილავს. ამას მართლმსაჯულების მეოთხე ტალღის ფარგლებში ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს.

პარლამენტში ინიცირებული ცვლილებებით, სასამართლოს შესაბამისი მოხელე (მაგისტრი) უფლებამოსილია, განიხილოს შემდეგი საქმეები: საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული, მათ შორის ელექტრონული ფორმით დადებული, სესხის (კრედიტის) ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სარჩელები, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება

5000 ლარს, გარდა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების (გირავნობა, იპოთეკა) გამოყენებასთან დაკავშირებული დავებისა; იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეები და მოქალაქის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ საქმეები.

პროექტის მიხედვით, მაგისტრი მოხელის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესს იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს. მაგისტრზე დისციპლინური პასუხისმგებლობის იგივე საფუძვლები და სამართალწარმოება ვრცელდება, რაც მოსამართლეებისთვის არის გათვალისწინებული.

სასამართლოს შესაბამის მოხელედ (მაგისტრად) შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, ფლობს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა და აქვს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

საკანონმდებლო პაკეტის ინიციატორი იურიდიულ საკითხთა კომიტეტია. კომიტეტი ცვლილებებს სასამართლოს საქმეებისგან განტვირთვის საჭიროებით ხსნის.

პანკისში დაკავებული პირების ადვოკატებს გაუთქმელობის პირობა ჩამოართვეს

ტერორიზმის მხარდაჭერის ბრალდებით პანკისის ხეობაში დაკავებული პირების ადვოკატებს გაუთქმელობის პირობა ჩამოართვეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ერთ-ერთი ბრალდებულის, რუსლან ალდამოვის ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა განუცხადა.

როგორც კუბლაშვილმა აღნიშნა, გაუთქმელობაზე ხელი ადვოკატებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მოაწერინეს, სადაც ისინი ცოტა ხნის წინ იმყოფებოდნენ.

– მოვაწერე გაუთქმელობაზე ხელი, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, მასალებსა და ინფორმაციებს არ გადავცემ მესამე პირებს და არ გავაჟღერებ საჯაროდ. ასევე შევთანხმდით საგამოძიებო ვადის გაგრძელებაზე. აინტერესებდათ, ხომ არ ვიყავი წინააღმდეგი, რომ წინასასამართლო სხდომის ვადა გაგრძელებულიყო, რაზეც ვუთხარი, რომ არ ვიყავი წინააღმდეგი, ვინაიდან გარკვეული ვადა ჩვენც გვჭირდება, რათა მტკიცებულებები მოვიპოვოთ, – განაცხადა მარიამ კუბლაშვილმა.

როგორც ცნობილია, სუს-მა 2017 წლის 26 დეკემბერს 5 პირი დააკავა, აქედან 4 პანკისში, ერთი კი – თბილისში. ყველა მათგანს თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე ჩატარებული სპეცოპერაციისას განეიტრალებულ პირებთან კავშირი და მათი დახმარება ედება ბრალად. პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ერთი პირი დაიჭრა.

სამართალდამცველებმა ნარკორეალიზატორი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა თბილისში ნარკორეალიზატორი დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით ირანის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ჰ.ქ. თბილისში დააკავეს.

მის მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა. სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალების 2 აბი ამოიღეს. პოლიციამ ჰ.ქ.-ს მიერ გაყიდული, ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალების 40 აბი ნივთმტკიცებად ამოიღო ნარკოლოგიური შემოწმებისას, ბრალდებულს ოპიუმის, მეტადონისა და მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა, – ნათქვამია განცხადებაში.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების არაერთგზის უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის და მე-5 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

მირიან მირიანაშვილი: „რეგიონში მიმდინარე რადიკალური ცვლილებების ფონზე საქართველოს ხელისუფლების პასიურობა დამღუპველია“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინასა და საქართველოს მეზობლად მიმდინარე მოვლენებზე, მათ კავშირზე საქართველოსთან „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს

მირიან მირიანაშვილი:

– სააკაშვილის პოლიტიკური ეპოპეა საბოლოოდ დასრულდა. მისი პოლიტიკური დასამარება დააგვირგვინა ექსპრეზიდენტის მორიგმა ცრუპენტელობამ. ვგულისხმობ ყალბ ხელმოწერას უკრაინის პრეზიდენტისადმი მიწერილ მიმართვაში.

– დეკემბერში პოროშენკოსადმი მიწერილ შემრიგებლურ მიმართვაში სააკაშვილი ინანიებს თავის საქციელს. ამ მიმართვაზეა საუბარი?

– დიახ. ეს წერილი უკრაინის პრეზიდენტის კანცელარიაში სააკაშვილმა საკუთარი ხელით მიიტანა. ეს მისი მიმართვა იყო, მაგრამ ხელმოწერა აღმოჩნდა გაყალბებული. სააკაშვილისადმი არსებული უნდობლობის გამო პოროშენკოს გარემოცვამ მისი ექსპერტიზა დროულად ჩაატარა. ცხადი გახდა, რომ სააკაშვილს მორიგი უგუნური ვერაგობა ჰქონდა ჩაფიქრებული. ამ მიზნით მან თავის წერილს სხვისი ხელმოწერა მიაბა. უკრაინის პოლიტიკური წრეები სააკაშვილთან ადრევე არ თანამშრომლობდნენ. ამ შემთხვევის შემდეგ მას ის მარგინალებიც აღარ ეკარებიან, რომლებიც ბოლო დროს გვერდით ჰყავდა. სააკაშვილის საქმეებზე უკრაინაში რამდენიმე სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. უახლოეს ხანში მათ განახლებას ხელს არაფერი შეუშლის. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ აქამდე მას უკრაინის დატოვების უფლება ჰქონდა, ესეც ჩამოერთვა. საქართველო მისგან კარგა ხნით დაისვენებს.

– საახალწლოდ სააკაშვილის საქართველოში დესანტირების გეგმა ხომ მანამდეც ჩაფლავდა?

– სააკაშვილმა დეკემბერში თავისიანებში ვიდეომიმართვა გაავრცელა, სადაც უკრაინაში მისიის შესრულების შემდეგ საქართველოში გააქტიურებაზე იყო საუბარი. რუსეთს ჰქონდა სააკაშვილის უკრაინიდან დესანტირების გეგმა. მის მომხრეებს ახლაც ჰგონიათ, რომ მიშა ჩამოვა, მაგრამ ეს აბსურდია.

– გარკვეული ხნის შემდეგაც არ გაუჩნდება სააკაშვილს საქართველოს პოლიტიკაში ჩარევის სურვილი?

– სურვილი შეიძლება გაუჩნდეს, მაგრამ დგება სხვა რეალობა. ერთი მხრივ, ესაა სააკაშვილის პირადი შესაძლებლობების დამცრობა, მეორე მხრივ – იმ ქვეყნის დასუსტება, რომელიც სააკაშვილს მართავს. პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის როლის დაკნინება შეამცირებს სააკაშვილის გააქტიურების შანსს. ეს კაცი უკვე გახუნებული ნივთია. ეს შეცვლის ვითარებას „ქართული ოცნებისთვის“. ცნობილია, რომ მმართველი პარტია სააკაშვილსა და მის მიმდევრებს საფრთხობელად იყენებს. „ოცნება“ საქართველოს სოციუმს ბუათი აშინებს – თუ ჩვენ არ დაგვიჭერთ მხარს, ბუა მოვაო. საფრთხობელა რომ აღარ იარსებებს, დასაყრდენი გამოეცლება „ქართულ ოცნებას“.

– „ქართული ოცნება“ ამას აცნობიერებს?

– სათუოა, მმართველი ელიტა ამას აცნობიერებდეს. ჩვენი ხელისუფლება იმასაც ვერ ხვდება, რა პროცესებია იმ რეგიონში, რომლის ნაწილი არის საქართველო.

– ბოლო დროს მთავარი მოვლენები ირანში განვითარდა.

– მაგ მოვლენებსაც ვგულისხმობ. საქართველოს ყველაფერზე ისევ ისეთი პასიური პოზიცია აქვს, როგორიც იერუსალიმის საკითხზე ჰქონდა გაეროში. ჩვენმა დელეგაციამ ისიც კი ვერ გაბედა, რომ კენჭისყრის დროს თავი შეეკავებინა. ქართველები იმ დროს დარბაზში არ იმყოფებოდნენ.

– ირანში მიმდინარე პროცესები ახსენეთ.

– ის, რაც ირანში ხდება, მხოლოდ ირანის საშინაო საქმე არ არის. ეს პროცესები მთლიანად რეგიონსა და აქ გავლენების გადანაწილებას ეხება. სააკაშვილმა პოლიტდევნილად მაქცია და დევნილობის წლები ირანში გავატარე. იქ ვიყავი ბიზნესპროექტის კოორდინატორი ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფნის ფარგლებში. ჩემი იქ ყოფნისას ბანდარ-აბასის პორტიდან 64 მარტო ნავთობით დატვირთული ტანკერი გავატარეთ. ირანში გავიცანი იქაური პოლიტიკური და ბიზნესელიტა. ამიტომ, შემიძლია დაზუსტებით ვთქვა, რა ხდება ირანში.

– ეს პროცესები გარედან მართულად არ მიიჩნევა.

– ეს საპროტესტო ტალღა ააგორეს ირანის პოლიტიკური ელიტის გავლენიანმა წარმომადგენლებმა. მათ გამოიყენეს ხალხში არსებული უკმაყოფილება. ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი იყო „სიკვდილი რუსეთს“.

– ბოლო დროს ირანი რუსეთს ძალიან დაუახლოვდა.

– ირანის პოლიტიკური ელიტა გამოხატავს აშშ-სთან თანამშრომლობის სურვილს. მას მიზნად არ ჰქონია ირანში დესტაბილიზაციის მოწყობა ან ხელისუფლების შეცვლა.

– ირანის ხელისუფლებას არაფერი ემუქრება?

– არ ემუქრება. ირანში, როგორც წესი, საპროტესტო აქციები დაახლოებით ერთი კვირა გრძელდება. ასე იყო 2004, 2006, 2009 წლებშიც. ძირითადი ტალღა ახლაც ჩავლილია.

– ამ ტალღის მიზანი ამერიკისადმი სიმპათიის გამოხატვა იყო? დონალ ტრამპი ირანის მიმართ ძალიან მკაცრია.

– ამ საკითხს მარტო ტრამპი ვერ გადაწყვეტს. ამ გამოსვლების საშუალებით ირანელმა პოლიტიკოსებმა შეატყობინეს ვაშინგტონს, რომ ამერიკის მხარდამჭერები არიან და მათ ხალხში მიმდევრები ჰყავთ. ამას აუცილებლად ექნებოდა წანამძღვრები. დარწმუნებული ვარ, აქციების დაწყებამდე ამერიკიდან გარკვეული სიგნალი გაისმა. ჩვენს რეგიონში გავლენის ზრდის აუცილებლობაზე ამერიკაშიც ფიქრობენ. ამერიკელებს ირანთან კონფრონტაცია არ უნდათ. ამ სიტუაციაში პასიურობა, მერყეობა და ფსევდონეიტრალიტეტი დამღუპველია. საქართველოს ხელისუფლება სწორედ ამ ხერხებს მიმართავს. ეს ხეირს არ დააყრის „ქართულ ოცნებას“ და, დიდი ალბათობით, ქვეყანას. საქართველოს ირიბად უკვე შეეხო ამერიკის მიერ რუსეთისათვის გამოცხადებული სანქციები. შავ სიაში შეყვანილია ორი კრიმინალური ავტორიტეტი საქართველოდან. არის საშიშროება, რომ სანქციებში მოახვედრონ სხვა კატეგორიის ქართველებიც. თუ საქართველოს ხელისუფლებამ ისევ უგუნური უთავბოლო მოქმედებები გააგრძელა, საქართველოს მძიმე მომავალი ელოდება.

ლია მუხაშავრია: „სუსმა უნდა გააჩინოს განცდა, რომ ისინი ადამიანის საუკეთესო ინტერესებით მოქმედებენ“

ნათია ხურცილავა

უფლებადამცველი, ადვოკატი **ლია მუხაშავრია** პანკისსა და თბილისში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგებზე საუბრობს.

– ქალბატონო ლია, სუსმა ტერორიზმის საქმესთან დაკავშირებით ვიდეომასალა გამოაქვეყნა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ სუსის მიერ გამოქვეყნებული შუალედური ინფორმაცია არის სწორედ ამ ეტაპზე დასმული კითხვების პასუხი. რამდენად საკმარისია ეს ინფორმაცია?

– არანაირად არ არის საკმარისი. ზოგადად სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღით არიან შეიარაღებულები, გაცილებით მაღალი პასუხისმგებლობა აქვთ იარაღის გამოყენებისას. ჯერ უნდა მოხდეს გაფრთხილება, შემდეგ ჰაერში გასროლა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დამიზნებით სროლა. დამიზნებითი სროლა გადაუდებელი შემთხვევის დროს უნდა მოხდეს. თუ კონკრეტულ საქმეზე ვისაუბრებთ, რომელიც ეხება დაჭრილ 19 წლის ბიჭს, როგორც ჩანს, ეს ახალგაზრდა არ უწევდა შეიარაღებულ, აქტიურ წინააღმდეგობას სპეცრაზმს. ამიტომ, ვინც მას დამიზნებით ესროლა, მან უნდა დაადასტუროს, რომ ეს იყო ის შემთხვევა, როდესაც კანონი მას გაფრთხილებისა და გამაფრთხილებელი გასროლის გარეშე სროლის უფლებას აძლევდა. არანაირი ამის დამადასტურებელი მასალა არ არის წარმოდგენილი. რაც შეეხება გავრცელებულ ვიდეოს, ეს ამას ვერ დაამტკიცებს.

საერთოდ მსგავს ფაქტებზე უნდა იყოს ძალიან მკაცრი და ამომწურავი ინფორმაცია წარმოდგენილი საზოგადოებისთვის, რადგან საქმე ეხება ძალიან მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს. ყოველი ასეთი ფაქტის მიმართ ძალიან მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არის. გაცილებით მაღალია პასუხისმგებლობა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიმართ, როდესაც ის ცეცხლსასროლ იარაღს იყენებს.

ძალიან ბევრ კითხვას გასცემდა პასუხს ის ანგარიში, ის პატაკი, რომელიც მსროლელმა ამ გასროლის შედეგად დაწერა. რატომ არ გამოაქვეყნეს ეს პატაკი?! ეს იქნებოდა ყველაზე კარგი მტკიცებულება საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ ეს გასროლა უტყუარად უნდა მომხდარიყო.

– პირველ ხანებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალგაზრდა შეიარაღებული იყო, თუმცა ბებიამ თქვა, რომ იარაღი კი არა, მობილური ჰქონდა ხელში.

– შეცდომისგან არავინ არ არის დაზღვეული და მათ შორის, არც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, მიუხედავად პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხისა, მაგრამ თუ გასროლა შეცდომით მოხდა, ესეც უნდა იყოს ახსნილი და ნათქვამი დადასტურებულად საზოგადოებისთვის და შესაბამისი ზომებიც მიღებული. შეცდომა გაუფრთხილებელ დანაშაულს გულისხმობს და არა განზრახ დანაშაულს.

ნებისმიერი დაჭრა შეიძლება გამართლებული იყოს ტერორიზმის ბრალდებით და ეჭვმიტანით, ამიტომ ვამბობ, რომ საჭიროა უტყუარი მტკიცებულებები.

– გავრცელებული ვიდეო არ კმარა ამისთვის?

– ნამდვილად არ კმარა. ასე შეიძლება ვიღაცა ვიღაცას დაელაპარაკოს ქუჩაში. რაში გამოიხატებოდა მისი ტერორიზმთან კავშირი ეს ნათლად და სარწმუნოდ უნდა იქნას ნაჩვენები. შეიძლება ქუჩაში მეც, თქვენც შეგვხვდეს ვინმე ცნობილი ტერორისტი და ქუჩის მისამართი გვკითხოს, საათი გვკითხოს, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ტერორიზმთან გვაქვს კავშირი?!

– ამ შემთხვევაში ძალის გადამეტებაზე შეიძლება საუბარი თუ სანამ სრული ინფორმაცია არ იქნება, ამას ვერ განვსაზღვრავთ?

– ძალის გადამეტებაზე დასკვნა რომ გავაკეთოთ, ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ, რა ძალა რა ძალას დაუპირისპირდა. უნდა ვიცოდეთ, იყო ეს დაჭრილი პირი შეიარაღებული თუ არ იყო. შეიძლება ადამიანი იყოს შეიარაღებული, მაგრამ არ აპირებდეს მის გამოყენებას. არ გვაქვს ინფორმაცია, რეალურად რა მოხდა.

– ოპოზიცია სუსის ხელმძღვანელის, გომელაურის პარლამენტის ნდობის ჯგუფში მისვლას და მეტი ინფორმაციის მიწოდებას ითხოვს. ეს რამდენად იქნება ეფექტური?

– ნდობის ჯგუფი იმიტომ არის ნდობის ჯგუფი, რომ მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს იმ ინფორმაციაზე, რომელიც ყველასთვის საჯარო ვერ იქნება. სამართალდამცავ ორგანოებს, მათ შორის, რასაკვირველია, სუსს ძალიან სჭირდება საზოგადოების მხარდაჭერა და მისი ნდობა, ამიტომ ლოგიკურია და სრულიად გამართლებულიც, თუკი ნდობის ჯგუფთან შეხვედრას მოაწყობს სუსის ხელმძღვანელობა და მიაწოდებს იმ ინფორმაციას, რომელსაც ისინი არ თვლიან საჯაროდ გამოსატანად საჭიროდ, მაგრამ ამ ნაბიჯით მაინც იქნება საზოგადოების ინტერესი ნაწილობრივ დაკმაყოფილებული. ნდობის ჯგუფისადმი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, ნდობის ჯგუფმა უნდა გაავრცელოს ის ინფორმაცია, რომელსაც ის ჩათვლის საჭიროდ და აუცილებლად. ამიტომ ვფიქრობ, ნდობის ჯგუფში მისვლა და ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვნად შეცვლიდა იმ დამოკიდებულებას, რომელიც დღეს ამ კონკრეტული ფაქტის მიმართ არსებობს.

– ბევრი ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ტერორიზმი რეალური საფრთხეა. პრევენციისთვის რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით?

– თუ რეალურია ტერორიზმის საფრთხე, ეს ღიად უნდა გვითხრან, რადგანაც საზოგადოება, ადამიანები ძალიან დადებით როლს ითამაშებენ ამ საფრთხის თავიდან აცილებაში. მოქალაქეებს შეუძლიათ სახელმწიფოს ტერორიზმის გამოვლენაში დაეხმარონ და ეს შეიძლება კარგი პრევენციაც იყოს, მაგრამ ამის შესახებ ძალიან სერიოზულად უნდა ვიყოთ გაფრთხილებულნი და ინფორმირებულნი. საზოგადოების ინფორმირება ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით პროფილაქტიკის თვალსაზრისით, მაგრამ თანამშრომლობის სურვილი თავად სახელმწიფოსგან უნდა მოდიოდეს, სახელმწიფომ, სუსმა ამ შემთხვევაში უნდა გააჩინოს განცდა, რომ ისინი ჩვენი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ, მაშინ, მერწმუნეთ, საზოგადოება ითანამშრომლებს სუსთან. ხოლო ყოველი დაფარვა, არგამჟღავნება, ასეთი დამოკიდებულება საზოგადოების მიმართ, უფრო მეტ უნდობლობას ბადებს, ვიდრე პირიქით. არადა ადამიანს საკუთარი უსაფრთხოება არ შეიძლება სხვაზე ნაკლებად აწუხებდეს. შეიძლება მოქალაქეებმა ხელი შეუშალონ სამართალდამცავ ორგანოებს სწორად მუშაობაში და ამით შეიძლება სერიოზული საფრთხეები შეიქმნას, ამიტომ არის საჭირო ინფორმირება საზოგადოების. თუ სახელმწიფო გადმოდგამს ამ ნაბიჯს, საზოგადოებაც ადეკვატურად შეხვდება და მეტი ნდობა და მეტი თანამშრომლობა იქნება. ეს არის უალტერნატივო აქსიომა.

ანაკლიაში პორტის აშენების იდეა ერთი საუკუნის წინ გაჩნდა

ანაკლიის პორტის მშენებლობა დაიწყო, თუმცა იქამდე, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, ანაკლიის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით არაერთი ინიციატივა და პროექტი არსებობდა: ინიციატივები სათავეს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იღებს, როცა ანაკლიაში პორტის საჭიროებაზე საუბრობდნენ.

რაც შეეხება ნავსადგურის აშენების პირველ მცდელობას, ის 1960-იანი წლების ბოლოთი თარიღდება. იდეის განხორციელებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი სანაპიროზე პირსის აშენება იყო. სამწუხაროდ, იდეა ამ ეტაპს ვერ გასცდა.

პროექტის პირველი მონახაზი 1974 წელს ჩნდება, როცა ანაკლიის მისადგომების ათვისებისთვის ოკეანოლოგ ზენკოვიჩის ავტორობით გეგმა შეადგინეს.

1980-იანი წლების დასაწყისში ანაკლიის პორტს კვლავ უბრუნდებიან. ამ პერიოდით თარიღდება პროფესორ არჩილ კიკნაძისა და არქიტექტორ გიორგი მეტრეველის ანაკლიის პორტის პროექტი. 1986 წელს მომზადებულ კვლევაში კი „საქნაპირდაცვის“ სამსახური მაშინდელ მთავრობას რეკომენდაციას უწევს, რომ ანაკლია საქართველოს სანაპიროზე ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისთვის საუკეთესო ადგილია.

1993-93 წლებში საქართველოს მთავრობას ბათუმის პარალელურად ანაკლიაში ნავთობტერმინალის მშენებლობის მცდელობა ჰქონდა.

1997 წელს ანაკლიაში პორტის მშენებლობით დაინტერესებულმა ისრაელის მეწარმეთა ჯგუფმა ტრანსპორტის სამინისტროს მიმართა. თუმცა, მათ შესაბამისი ბიზნესგეგმა არ წარუდგენიათ.

პორტის საპროექტო წინადადებები 1998-1999 წლებში კვლავ გაიხსენეს, რომელიც ქართულ-უკრაინულმა კონსორციუმმა „ეგრისმა“ წარადგინა. მოგვიანებით, 2000 და 2001 წლებში ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის საერთაშორისო ტენდერი ორჯერ გამოცხადდა. ტენდერებში 12-მდე საერთაშორისო კომპანიის განაცხადები ფიქსირდება, თუმცა, აფხაზეთთან გამწვავებული მდგომარეობის გამო, პროცესი ვერ დასრულდა.

2002 წელს ანაკლიის გეგმარების ალტერნატიული ვარიანტი შეიქმნა, რომელიც „მშენპროექტმა“ დაამუშავა.

2010 წელს ანაკლიის პორტი ისევ აქტუალური ხდება გახმაურებული პროექტის „ლაზიკის“ სახელწოდებით. ანაკლიაში ქალაქისა და პორტის მშენებლობა 2012 წელს უნდა დაწყებულიყო, თუმცა ეს პროექტიც განუხორციელებელი დარჩა.

2013 წელს მთავრობამ იაპონურ კომპანია PADECO-ს ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის მიზანშეწონილობის კვლევა დაუკვეთა; კომპანიამ პორტის აშენების საუკეთესო ადგილი გამოავლინა.

კვლევის საფუძველზე, 2014 წელს სახელმწიფომ საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა, ტენდერში გამარჯვებული „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მიერ მომზადებული პროექტი წინამორბედებს მასშტაბით, ინოვაციურობითა და ეფექტურობით აღემატება. ეს იყო პირველი მცდელობა, რომელიც რეალურ საქმედ იქცა.

2016 წლის 3 ოქტომბერს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ მთავრობასთან ხელი მოაწერა საინვესტიციო ხელშეკრულებას, რომლის შემდეგაც კომპანიამ განახორციელა მასშტაბური სამუშაოები ანაკლიის პორტის საპროექტო ტერიტორიის საკვლევად და მშენებლობის მოსამზადებლად. საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად შეადგინა პორტის 50-წლიანი გენერალური გეგმა, წინასწარი დიზაინი, განაშენიანების რეგულირების გეგმა, ჩაატარა 50-ზე მეტი კვლევა ჰიდროსაინჟინრო მიმართულებით და ფლორისა და ფაუნის შესასწავლად, რომელზე დაყრდნობითაც მომზადდა პორტის წინასწარი დიზაინი და გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი; მოიზიდა ინვესტიციები (2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით 190 მლნ აშშ დოლარი), შეარჩია პორტის ტერმინალის ოპერატორი (ამერიკული SSA Marine), დაიწყო ქალაქ ანაკლიისა და სპეციალური ეკონომიკური ზონის განვითარება; წინარე ხელშეკრულებები გააფორმა სტრატეგიულ პარტნიორებთან, მათ შორის, უმსხვილეს ჩინურ კომპანიასთან, კორეულ და ევროპულ ლოგისტიკურ და სატრანსპორტო კომპანიებთან, შავი და კასპიის ზღვის აუზების პორტებთან.

2017 წლის დეკემბერში ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა დაიწყო.

გიორგი ჩოგოვაძე: „შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში 3 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბებს“

2017 წელს საქართველოს 7,554,936 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 1,194,433-ით (18.8%) მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ამის შესახებ ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სადაც 2017 წლის ტურიზმის მაჩვენებლები შეაჯამა.

მისი ინფორმაციით, იანვარ-დეკემბრის თვის მაჩვენებლებით იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 3,478,932 შეადგინა, რაც 757,962-ით მეტია 2016 წლის იანვარ- დეკემბრის მაჩვენებელზე (ზრდა +27.9%).

2017 წელს ყველაზე მეტი ვიზიტი სომხეთიდან 1,718,016 (+14.8%), აზერბაიჯანიდან 1,694,998 (+11.2%), რუსეთიდან 1,392,610 (+34.1%), თურქეთიდან 1,246,745 (-0.8%) ირანიდან 322,938 (+118.3%) შედგა.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-დეკემბერში გამოირჩეოდნენ: გაერთიანებული სამეფო (39.9%), ნიდერლანდები (31.1%), ესპანეთი (29.9%), საფრანგეთი (29.6%) და გერმანია (25.7%). განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: იორდანია (316.1%), საუდის არაბეთი (164.6%), კუვეიტი (154.3%), ირანი (118.3%), ინდოეთი (64.1%), ჩინეთი (54%) და სხვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2017 წლის დეკემბერში საქართველოს 600,004 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 113,402-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (ზრდა +23.3%).

დეკემბრის თვის მაჩვენებლებით, იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 234,969 შეადგინა, რაც 56,591-ით მეტია 2016 წლის დეკემბრის მაჩვენებელზე (ზრდა +31.7%).

2017 წლის I-III კვარტლის ჯამური მონაცემებით, უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შემოსავალი შეადგენს 2,174,481,448 დოლარს (ზრდა +29%), რაც 489 მილიონი დოლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2017 წლის I-III კვარტლის ჯამური მონაცემებით, ტურიზმის წილმა მთლიან შიდა პროდუქტში 7% შეადგინა – ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +11.5%.

2017 წლის იანვარ-ნოემბრის მონაცემებით, საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 1,927,566 ათასი ლარი შეადგინა. აქაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით +30.3%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

2017 წელს საქართველოს ცნობადობის ამაღლებისა და დამატებითი ვიზიტორების მოზიდვის მიზნით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

მონაწილეობა 21 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში.

ონლაინმარკეტინგული კამპანია 19 მიზნობრივ ქვეყანაში.

– შემოსავლების ნაწილში გვაქვს მნიშვნელოვანი ზრდა. თუ 2016 წელი იყო პირველი წელი, როდესაც შემოსავლებმა საერთაშორისო ტურიზმიდან 2 მილიარდი აშშ დოლარს მიაღწია, 2017 წლის ბოლოს ქვეყანამ უკვე 2.7 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს მივაღწევთ 2 მნიშვნელოვან ციფრს: პირველად გვეყოლება 8 მილიონი საერთაშორისო მოგზაური, ხოლო შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში გადააჭარბებს 3 მილიარდ აშშ დოლარს, – განაცხადა გიორგი ჩოგოვაძემ.

მაგთიკომი მობილური ინტერნეტის გაძვირების მიზეზებს განმარტავს

მაგთიკომი ინტერნეტის გაძვირების მიზეზებს განმარტავს. ამის შესახებ კომპანიამ ოფიციალური განცხადება გაავრცელა.

– ბოლო წლების განმავლობაში მაგთიკომმა მრავალმილიონიანი ინვესტიციები განახორციელა ტექნოლოგიების დანერგვისა და ქსელის უწყვეტი განვითარების კუთხით. მაგთიკომი უახლესი ტექნოლოგიებით არის წარმოდგენილი მთელს საქართველოში, როგორც დიდ ქალაქებში, ისე რთულად მისადგომ ადგილებში, მაღალმთიანი და სასაზღვრო რეგიონების ჩათვლით, სადაც რიგ შემთხვევებში, ერთი-ორი ოჯახი ცხოვრობს, მაგრამ კავშირი ყველასთვის და ყველგან უზრუნველყოფილია.

საქართველოში ოპერატორებს რთულ პირობებში უწევთ ოპერირება. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე იჯარის საფასური ოპერატორებისთვის ბევრად მაღალია, ვიდრე იჯარის საბაზრო ფასი. 2017 წელს გაიზარდა მეტროსადგურების გვირაბებში კაბელის გატარების საფასური. ვალუტის კურსის ცვლილება, ინფლაცია და დენის ტარიფის ცვლილება პირდაპირ-პროპორციულად აისახება კომპანიების დანახარჯებზე.

დღეს ქვეყანაში მობილურ მომსახურებაზე საკმაოდ დაბალი ტარიფებია. შესაბამისად, კომპანიის მიერ მობილური ინტერნეტის მიწოდების ხარჯი და მომსახურებისგან მიღებული შემოსავალი ვერ აბალანსებს ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, სერიოზული საფრთხის წინაშე დგება ქვეყანაში მობილურ ინტერნეტზე დაფუძნებული ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება, იზღუდება როგორც კომპანიის, ისე ქვეყნის ტექნოლოგიური წინსვლა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საჭიროა ტარიფები იყოს ადეკვატური, როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში და სრულ შესაბამისობაში მოდიოდეს მოქმედ კანონმდებლობასთან, – აცხადებენ მაგთიში.

მაგთი მობილურ ინტერნეტს აძვირებს. კომპანიის ცნობით, ახალი ტარიფები ძალაში 18 იანვრიდან შევა.

ზურაბ გვასალია: „დეპოზიტების დაზღვევამ შესაძლოა სესხებზე საპროცენტო განაკვეთი გაზარდოს“

– გასული წლის მთავარი გამოწვევა როგორც მოსახლეობისათვის, ასევე ბიზნესისათვის სავალუტო კურსთან დაკავშირებული ცვლილებები იყო.

ამის შესახებ რადიო „კომერსანტის“ ეთერში საუბრისას ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ განაცხადა.

როგორც გვასალია აღნიშნავს, საბანკო სექტორისათვის 2017 წელი წარმატებული იყო.

– 2017 წელი 16 საბანკო დაწესებულებით დამთავრდა. საბანკო სექტორისათვის 2017 წელი წარმატებული იყო, რაც თავისთავად ეკონომიკური ზრდის ტენდენციებთან თავსებადია.

საბანკო სექტორი ყველა პარამეტრით წარმატებულია როგორც კაპიტალის, ასევე საკრედიტო პორტფელით, დეპოზიტების ბაზით, ყველა ამ მიმართულებით აშკარა ზრდაა. 2017 წლის დეკემბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 24%-იანი მოგება და 16-17%-იანი ზრდა იყო. ეს ტენდენცია 2018 წელსაც გაგრძელდება.

გასული წლის მთავარი გამოწვევა როგორც მოსახლეობისათვის, ასევე ბიზნესისათვის სავალუტო კურსთან დაკავშირებული ცვლილებები იყო, – განაცხადა ზურაბ გვასალიამ.

ბანკების ასოციაციის პრეზიდენტის თქმით, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით, რაც 2018 წელს მეტად საგრძნობი გახდება.

– 2017 წელს ბანკებმა ბევრად მეტი ვალუტა გაყიდეს, ვიდრე იყიდეს. 2018 წელი ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური განათლების წლადაა გამოცხადებული ამაში საბანკო სექტორი ბუნებრივია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით, ეს კი 2018 წელს ბევრად საგრძნობი გახდება, – აღნიშნა გვასალიამ.

რაც შეეხება 5 ათასამდე ოდენობის დეპოზიტების დაზღვევას, ზურაბ გვასალიას თქმით, „დეპოზიტების დაზღვევა გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. დეპოზიტების დაზღვევამ შესაძლოა სესხებზე საპროცენტო განაკვეთი გაზარდოს. ლარიზაციის პროგრამა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია და მას ალტერნატივა არ გააჩნია.

ჩვენი ეკონომიკა და, შესაბამისად, საბანკო სექტორიც დოლარიზებულია. 2017 წელს დოლარიზაციის მაჩვენებელმა დაახლოებით 9%-ით დაიწია და 2018 წელს ეს მაჩვენებელი კვლავ შედეგს დადებს“, – განმარტა ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა.

2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმაზე 72 მილიონი ლარით მეტი დაიხარჯა

2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა (ყველას სახის ხარჯი) 11.8 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც დაგეგმილ გადასახდელებზე 72 მლნ ლარით მეტია. მათ შორის, შრომის ანაზღაურებაზე გეგმაზე 2.6 მლნ ლარით მეტი დაიხარჯა.

გამოყოფილ თანხებზე მეტის დახარჯვა სამინისტროების მიერ გაწეულმა ხარჯებმა განაპირობა. ყველაზე მეტი გადახარჯვა აქვს ჯანდაცვის და ინფრასტრუქტურის სამინისტროს – 31-31 მლნ ლარი. შემდეგ მოდის თავდაცვის სამინისტრო 25 მლნ ლარით. სხვა სამინისტროების გადახარჯვა კი 2-7 მლნ ლარის ფარგლებშია.

აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სამინისტროს შემთხვევაში გადახარჯვა ძირითადად ჯანდაცვის პროგრამებმა განაპირობა, ჯამში 24 მლნ ლარით. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე 710 მლნ ლარი დაიხარჯა, როდესაც წლის დასაწყისში 660 მლნ ლარი იყო გამოყოფილი. წლის ბოლომდე გეგმური მაჩვენებელი 710 მლნ ლარამდე გაიზარდა. 2018 წელს საყოველთაო ჯანდაცვაზე 704 მლნ ლარია გამოყოფილი, რაც, აქედანვე ცხადია, რომ საკმარისი არ იქნება.

უშგულის ლამარიაზე არქიტექტურული ცვლილებები კრიტიკის მიზეზი ხდება

უშგულის ლამარია X საუკუნის უნიკალური ძეგლია. მასზე განხორციელებულ არქიტექტურულ ცვლილებებს ლელა ნიჟარაძე აპროტესტებს:

– უშგულის ლამარია X საუკუნის ძეგლია, რომელიც შემაღლებულ ბორცვზე მდებარეობს. მას შემორტყმული აქვს გალავანი, ასევე აქვს კოშკი ორი დამხმარე ნაგებობით. ეკლესია ბაზილიკის ტიპისაა, აქვს სტოია და შემორჩენილი ფრესკები.

ის, რაც იქ მოხდა ამ უნიკალური ნაგებობასთან დაკავშირებით, არის თუ არა ისტორიის ხელყოფა და პასუხსაგებელი საქმე?! თვალშისაცემი არქიტექტურული ცვლილება: შენგრეული კოშკის კარი და შიგ საცხოვრებლის მოწყობა, დაგებული მეტლახი, ჩასმული მეტალო კარ-ფანჯრები. მთლიანად შეცვლილი იერსახე... იყო თუ არა ამის აუცილებლობა, პასუხი დღემდე არავის გაუცია, სამწუხაროდ...

დავით სარაჯიშვილის საფლავს ქაშვეთის ეკლესიის ეზოში საეკლესიო მაღაზია ადგას თავზე

ცნობილი ქართველი მეცენატი დავით სარაჯიშვილი ქაშვეთის ეკლესიის ეზოშია დაკრძალული. მისი საფლავის მდებარეობა წლებია, განხილვის საგანია, რადგან, თუკი ადრე ის შავი ჯიპების გარაჟად იყო ქცეული, ახლა ეკლესიის ეზოში გახსნილი მაღაზია ადგას თავზე.

ნატაშა ლომოურს მიაჩნია, რომ ეს მკრეხელობაა და შესაბამისმა პირებმა კეთილი უნდა ინებონ და მაღაზია სხვა ადგილას გადაიტანონ: – ეს არის დავით სარაჯიშვილისა და მისი ცოლის, ეკატერინეს ანდერძები. მხოლოდ წვეთია იმ დიდ საქმეში, რასაც ეს ადამიანები აკეთებდნენ. დღეს მათ საფლავს ქაშვეთის ეკლესიის ეზოში საეკლესიო მაღაზია ადგას თავზე. წლების განმავლობაში ეკლესიის ეზოში შეყენებული შავი ჯიპების გარაჟიც იყო ეს ადგილი. ბევრი ბრძოლის გადატანა გახდა საჭირო, რომ ეს მავნებლობა გამქრალიყო. ახლა ეს მაღაზია... როგორ მივიტანოთ იმ ხალხის გონებამდე და გულებამდე ინფორმაცია, რომ ეს მკრეხელობაა და კეთილი ინებონ, მაღაზია სხვა ადგილას გადაიტანონ?!

მე-9 კლასის ისტორიის წიგნში ქართული დამწერლობის შემქმნელად სომეხი მოღვაწეა მითითებული



– ამ იდიოტობით შეიძლება დაიწყოს ქართული ანბანის შექმნის ისტორია?! – კითხულობს კახა გაგლოშვილი და განათლების სამინისტროს მიმართავს:

– გაკვეთილებს ვიბარებ ახლა ბავშვისგან და მე-9 კლასის ისტორიის წიგნში პირველ და მთავარ ვერსიად უწერია, რომ ქართული დამწერლობა შექმნა ცნობილმა სომეხმა მოღვაწემ მესროპ მაშტოცმა! მერე კი წერია, რომ ეს უარყოფილია ქართველი მეცნიერების მიერ, მაგრამ ამ იდიოტობით შეიძლება დაიწყოს ქართული ანბანის შექმნის ისტორია?! ბოდიში და სულ გამო..რდით განათლების სამინისტროში?!

ლეილა ძიგრაშვილს ვერიკო ანჯაფარიძის პრემია მიანიჭეს

მსახიობ ლეილა ძიგრაშვილს ლეგენდარული ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია მიანიჭეს.

ინფორმაცია თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა გაავრცელა:

– ამ შესანიშნავ ქალბატონს, მსახიობ ლეილა ძიგრაშვილს მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე 2016-2017 წლებში ჩატარებული ლიტერატურული საღამოებისათვის დღეს მიენიჭა ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია!

სახალხო არტისტს ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემიის მინიჭებამდე თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის წინ ვარსკვლავიც გაუხსნეს. ვარსკვლავის გახსნის საზეიმო ცერემონიალამდე თეატრის დიდ სცენაზე მსახიობის ბენეფისი გაიმართა.

ლეილა ძიგრაშვილი მოზარდ მაყურებელთა თეატრში 1948-65 წლებში მოღვაწეობდა. მისი მონაწილეობით აღსანიშნავია სპექტაკლები „პრინცესა ტურანდოტი“, „გალილეო გალილეი“, „ოჯახი“...

მოზარდ მაყურებელთა თეატრის შემდეგ ლეილა ძიგრაშვილმა სამსახიობო კარიერა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გააგრძელა. მის მიერ განსახიერებული როლებიდან გამორჩეულია დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ თემურ ჩხეიძისა და რობერტ სტურუას რეჟისურით, ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ რობერტ სტურუას რეჟისურით, გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“ თემურ ჩხეიძის რეჟისურით...

თეატრის გარდა, ლეილა ძიგრაშვილი აქტიურად მოღვაწეობდა კინემატოგრაფში. მსახიობი გადაღებულია ფილმებში: „ვირთხა“, „გამოცხადება“, „ნატვრის ხე“, „ჩირიკი და ჩიკოტელა“, „სიყვარული, ივერია და...“, „მოიტაცეს თამარ ქალი“. ავთანდილ ვარსიმაშვილის გახმაურებულ ტელესერიალში „სახლი ძველ უბანში“ ლეილა ძიგრაშვილმა გურამ საღარაძის პერსონაჟის მეუღლის, თამილას როლი განასახიერა.

ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, რომ ლეილა ძიგრაშვილს გახმოვანებული აქვს უამრავი ფილმი, მათ შორის ელდარ შენგელაიას, მერაბ კოკოჩაშვილის, რეზო ჩხეიძის, ზაზა კოლელიშვილის, ნანა მჭედლიძის, გიგა ლორთქიფანიძის ფილმების პერსონაჟები.

გახმოვანებული კინოგმირებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფილმიდან „შერეკილები“ მარგალიტას პერსონაჟი, რომელსაც არიადნა შენგელაია თამაშობს, ფილმიდან „წარსული ზაფხული“ მედეა ჯაფარიძის პერსონაჟი, ფილმიდან „ჩვენი ეზო“ სოფიკო ჭიაურელის პერსონაჟი, ფილმიდან „პირველი მერცხალი“ გულჩინა დადიანის პერსონაჟი, ფილმიდან „დათა თუთაშხია“ მუშნის დედა, ფილმიდან „დიმიტრი თავდადებული“ ლიანა ასათიანის პერსონაჟი, ფილმიდან „დიდი მწვანე ველი“ ლია კაპანაძის პერსონაჟი, ფილმიდან „გარიგება“ ნანული სარაჯიშვილის პერსონაჟი, ფილმიდან „ფატიმა“ ფატიმას პერსონაჟი. ლეილა ძიგრაშვილი ასევე ახმოვანებდა რუსულ და ინდურ ფილმებსაც.

მსახიობმა მონაწილეობა მიიღო რადიო „იმედის“ მიერ განხორციელებულ პროექტში „ვეფხისტყაოსანი ყველასათვის“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ტრამპმა შესაძლოა თავის ყოფილ მრჩეველს სასამართლოში უჩივლოს

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპა განაცხადა, რომ შესაძლოა თავის ყოფილ მრჩეველ ბენონს სასამართლოში უჩივლოს.

აჟიოტაჟი მაიკლ უოლოფის წიგნის „თეთრი სახლი დონალდ ტრამპის დროს“ გამოქვეყნების შემდეგ აგორდა. ბენონმა ამ წიგნზე კომენტარები გააკეთა და დაადასტურა, რომ ტრამპის ვაჟი, ასევე სიძე კუშნერი რუსეთის წარმომადგენლებს მართლაც შეხვდნენ. რუსებმა მათ ჰილარი კლინტონზე კომპრომატების მიწოდება აღუთქვეს.

– ასეთი საქციელი არაპატრიოტულია, – ამბობს ბენონი.

ტრამპმა ამ ბრალდებას სისულელე უწოდა და განაცხადა, რომ თავის ყოფილ მრჩეველს სასამართლოში უჩივლებს. ტრამპის ადვოკატები ცდილობენ, უოლოფის წიგნის აკრძალვას მიაღწიონ.

– წიგნი ცილისწამებას და ცრუ ინფორმაციებს შეიცავს, რომლებიც სახელმწიფოს პრესტიჟს ზიანს აყენებს, – ამტკიცებენ ისინი.

მაიკ პენსი: „აშშ ირანელ ხალხს დაეხმარება!“

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა განაცხადა, რომ ირანში დესპოტური და კორუმპირებული რეჟიმია, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმის ძირითად სპონსორად მოგვევლინა. პენსმა აღტაცება გამოთქვა გმირი ირანელი ხალხით, რომელიც ტირანიის წინააღმდეგ აჯანყდა.

– აშშ, ისევე, როგორც სხვა ქვეყნები, ირანელ ხალხს მხარს უჭერს! – თქვა პენსმა.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ შემოიღო სანქციები ირანში ოთხი საწარმოსა და ერთი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წინააღმდეგ, რომელიც ბალისტიკური რაკეტების დამზადების პროგრამაშია ჩართული. ოფიციალური თეირანი ამას უაღრესად აგრესიულად შეხვდა. ირანის წარმომადგენელმა გაეროში ხოსრუმ განაცხადა, რომ არეულობა ირანში აშშ-ის მიერაა ინსპირირებული.

– ამით ამერიკამ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ აგრესია განახორციელა, – ამბობს ხოსრუ.

ირანში აქციები არ ცხრება. ირანის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, სულ აქციებში 40.000 ადამიანი მონაწილეობდა. სხვები ამას ეჭვქვეშ აყენებენ.

– 40.000 მხოლოდ თეირანში გამოვიდა! მთელი ირანის მასშტაბით აქციებში გაცილებით მეტი ადამიანი მონაწილეობდა, – იტყობინება ბი-ბი-სი.

ფხენიანი სეულთან პირდაპირ მოლაპარაკებებს დათანხმდა

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება თანახმაა, სამხრეთ კორეასთან პირდაპირი დიალოგი დაიწყოს. სავარაუდოდ, ორი ქვეყნის პრეზიდენტები ერთმანეთს სასაზღვრო პუნქტ ფსანმუნდჟომში შეხვდებიან.

განხილული იქნება როგორც სეულის ოლიმპიადაში ჩრდილოეთ კორეელი სპორტსმენების მონაწილეობის საკითხი, ასევე ორი ქვეყნის ურთიერთობებიც.

დოდონმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა

მოლდოვის მთავრობის დადგენილებით, ქვეყანაში რუსული ახალი ამბების ტრანსლირება აიკრძალა. პრორუსული ორიენტაციის პრეზიდენტმა დოდონმა ეს ადამიანის უფლებების დარღვევად აღიქვა.

– ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა ადამიანის უფლებების განუხრელი ატრიბუტია! – თქვა მან.

დოდონმა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ხსენებული დადგენილების გაუქმება მოითხოვა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ყველაზე პატარა კუნძულზე მხოლოდ სახლი და ხე დაეტია

აშშ-ში, მდინარე წმინდა ლავრენტიზე მდებარე კუნძული ჯასტ-რუმ-ინაფი ბიშოპ-როკზე, რომელიც მსოფლიოში ყველაზე პატარა დასახლებულ კუნძულად იყო მიჩნეული, უფრო პატარა აღმოჩნდა.

კუნძულის ფართობი 306,6 კვადრატულ მეტრს შეადგენს. 1950 წელს ის საიზლენდების ამერიკულმა ოჯახმა შეიძინა. მისმა მფლობელებმა იქ აგარაკი ააშენეს და ხე დარგეს. დარჩენილ ტერიტორიაზე ძლივს დაეტია სამი სავარძელი პიკნიკისთვის.

სწორედ საიზლენდებმა დაარქვეს კუნძულს ჯასტ-რუმ-ინაფი. მანამდე კუნძულს ჰაბი ერქვა. აღნიშნული კუნძული ბიშოპ-როკზე ორჯერ უფრო პატარაა, რომელიც ამჟამად გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი, როგორც მსოფლიოში ყველაზე პატარა კუნძული, რომელზეც ნაგებობაა აღმართული.

ბრიტანელი მტრედების გამოკვებისთვის დააჯარიმეს

ბრიტანელი ქალბატონი 80 ფუნტი სტერლინგით დააჯარიმეს იმის გამო, რომ მისმა შვილებმა მტრედებს საჭმელი დაუყარეს.

ქალაქ ბრედფორდის მცხოვრები 31 წლის კეტი ტრაჯილი შვილებთან, ხუთი წლის ამალიასთან და სამი წლის ფინლიხთან ერთად მაღაზიებში საყიდლებზე დადიოდა. მათ მოშივდათ და ქალმა ჰოთ-დოგი იყიდა. ჭამის შემდეგ დარჩენილი პურის ნამცეცები მტრედებს ძირს დაუყარეს, ხოლო ქაღალდი, რომელშიც საუზმე იყო გახვეული, ქალმა ნაგვის ურნაში ჩააგდო. ეს ყოველივე მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა შენიშნა.

ტრაჯილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის თანამშრომელი მათთან იმ დროს მივიდა, როდესაც ფრინველებს უკვე ყველაფერი აკენკილი ჰქონდათ.

– მე ამ აკრძალვის თაობაზე არაფერი მსმენოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვებს ამის გაკეთებას ავუკრძალავდი. მათ ხომ, უბრალოდ, მტრედებს ნამცეცები დაუყარეს და ძირს ნაგავი არ დაუყრიათ, – განაცხადა ქალბატონმა, რომელიც ჯარიმის გაპროტესტებასა და სასამართლოში ამის გამო ჩივილს არ აპირებს.

კანადელმა ძირს დაყრილი ფოთლები მეზობლებს დაუბრუნა

გაბრაზებული მამაკაცი ხეებიდან მის ნაკვეთში ჩამოყრილ ფოთლებს ღობესთან მდგომ მეზობლებს უბრუნებდა. ამის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა კანადურმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეო კანადელმა ქალბატონმა კაროლინა პაულიკოვსკიმ გადაიღო. ვიდეორგოლზე ჩანს, თუ როგორ აგროვებს მამაკაცი ჩამოცვენილ ფოთლებს და მათ მეზობლების ტერიტორიაზე ყრის. ის საკუთარ ქმედებას იმით ხსნის, რომ ისინი „მის ტერიტორიაზე ცვივა“.

ქალმა მეზობლის საქციელი „სულელობად“ ჩათვალა, ვინაიდან მას აქამდე არაფერი უთქვამს ამ პრობლემის თაობაზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პრემიერლიგამ პირველი წრე შეაჯამა

ინგლისურმა მედიამ პრემიერლიგის 2017-18 წლების სეზონის პირველი ნახევარი შეაჯამა. პირველ წრეში ბევრი გუნდური და ინდივიდუალური რეკორდი დაემხო, ბევრი განმეორდა. გამოჩნდნენ ახალი სახეები და დაბრუნდნენ ძველები.

ვნახოთ რამდენიმე ამბავი განვლილი პირველი წრიდან.

1. სიტი

გვარდიოლას გუნდმა პირველ წრეში იფრინა. სიტიმ პირველი ნახევარი 18 მოგებითა და 1 ფრით დაასრულა. მანჩესტერელებმა მეთოთხმეტე ტურში სუონსისთან გასვლაზე მოგებით არსენალის 2002 წლის ზედიზედ 14-მატჩიანი მოგების რეკორდი გააუმჯობესეს და ახალი ზღვარი 17-მდე აიყვანეს.

სიტის შემადგენლობაში განვლილ წრეში ბრწყინავდნენ დავიდ სილვა, კევინ დე ბრუინე, სერხიო აგუერო და რაჰიმ სტერლინგი, რომელსაც ყველა ტურნირში ერთად უკვე 17 გოლი აქვს გატანილი.

სადღეისოდ სიტი უახლოეს მდევარ მანჩესტერს 15 ქულით უსწრებს.

2. ჰარი ჰოთსპური

2017 წელს მხოლოდ ლიონელ მესისა და ედისონ კავანის აქვთ უფრო მეტი გოლი გატანილი (50), ვიდრე ჰარი კეინს. ინგლისის ნაკრებისა და ტოტენჰემ ჰოთსპურის ფორვარდმა 2017 წელს ყველა ტურნირში ერთად 48 გოლი გაიტანა, აქედან 39 პრემიერლიგაში, რითიც ალან შირერის 36-გოლიანი რეკორდი გააუმჯობესა. ტოტენჰემი სეზონს არასტაბილურად ატარებს, მაურისიო პოჩეტინოს გუნდი 37 ქულით მეხუთე ადგილზეა.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ლონდონელებმა შესანიშნავად იასპარეზეს და მერვედფინალში ტურინის იუვენტუსს დაუპირისპირდებიან.

2017 წელი: 48 გოლი!

3. მოჰამედ ეგვიპტელი

მოჰამედ სალაჰი პირველი იყო პრემიერლიგიდან, რომელმაც ყველა სეზონში ერთად 20 გოლის გატანა შეძლო. ლივერპულის ეგვიპტელ ლიდერს ბოლო ტურის შემდეგ 23 გოლი და 7 საგოლე პასი დაუგროვდა. სალაჰი დეკემბერში პირველი ეგვიპტელი გახდა, რომელიც აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. იურგენ კლოპის გუნდმა პირველ წრეში ბევრი გაიტანა და ბევრი გაუშვა. დაცვის მოწესრიგება გერმანელმა ვერ შეძლო. ლივერპული მეოთხე ადგილს იკავებს.

4. მეხანძრე სემი

ევერტონმა სეზონი რონალდ კუმანთან ერთად დაიწყო. ჰოლანდიელმა სეზონის წინ ევერტონის ისტორიაში ყველაზე დიდი სატრანსფერო ბიუჯეტი – 150 მილიონი ევრო მიიღო, მაგრამ რომელუ ლუკაკუს შემცვლელის მოყვანა მაინც ვერ მოახერხა. კუმანმა გუნდი ცუდი შედეგების გამო ოქტომბრის ბოლოს დატოვა. მის შემცვლელად ლივერპულელებმა გამოცდილი ინგლისელი სემ ელერდაისი მოიყვანეს.

ელერდაისმა ევერტონი გასავარდნ ზონაში მყოფი ჩაიბარა, შემდეგ 7- მატჩიანი წაუგებელი სერია ათამაშა და დღეს ლურჯები პირველ ათეულში რომ იმყოფებიან, მისი დამსახურებაა. საგრძნობლად გაუმჯობესდა ევერტონის დაცვითი სტატისტიკა, ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი დაცვის მქონე გუნდმა ელერდაისის მოსვლის შემდეგ 8 ტურში მხოლოდ 4 გოლი გაუშვა. თავს კარგად იცავენ, მაგრამ გატანა უჭირთ.

სემ ელერდაისმა პრემიერლიგიდან გავარდნას არაერთი გუნდი გადაარჩინა და ბრიტანული პრესა მას „დიდ სემისთან“ ერთად „მეხანძრე სემისაც“ უწოდებს.

5. დაბრუნება

თითქმის 2 წელი ჯეკ უილშირს არსენალში ნორმალურად გაგორებული არ ჰქონდა. 2016-17 წლების სეზონი საერთოდ განათხოვრების წესით ბორნმუთში გაატარა. ედი ჰოუის გუნდში, შედარებით დაბალი კონკურენციის პირობებში, ინგლისელმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ადვილად მოიპოვა და განვლილი სეზონიდან ზუსტად ის მიიღო, რაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა – პრაქტიკა!

მიმდინარე სეზონში არსენ ვენგერმა უილშირის სასტარტოში დაყენება ევროთასებზე, ასევე შიდა სათასო დაპირისპირებებში დაიწყო. ერთ დროს არსენალის ლიდერი და გუნდის ერთ-ერთი მთავარი იმედი ლონდონელებს ამ მოცემულობით კარგად დაუბრუნდა, რის შემდეგაც ფრანგმა უილშირის პრემიერლიგაში გამოყენებასაც მოუხშირა და უკვე ზედიზედ 7 ტურია, ჯეკი სასტარტოში 90 წუთს თამაშობს.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

განცხადებები

დასაქმება

● განყოფილების ხელმძღვანელს ოფისში სჭირდება რუსული და ქართული ენების მცოდნე ორი თანაშემწე. ვთავაზობთ მზარდ ანაზღაურებასა და კარიერულ წინსვლას. ტელ: 599-61-75-82.

● სავაჭრო კომპანიის ოფისში გვესაჭიროება თანამშრომელი, რომელსაც პერსონალის შერჩევის გამოცდილება აქვს. ტელ: 555-57-83-54.

შეკვეთეთ წიგნები!

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● ნანა ქიბრონაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225. ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩანერით .

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულსისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

ჯოვანი ანიელი მხოლოდ კიბომ დაამარცხა

ტურინის იუვენტუსის დიდებას ყოველთვის უკავშირებდნენ ანიელების ოჯახს. მათგან ყველაზე გავლენიანად ჯოვანი (ჯანი) ანიელი ითვლებოდა. გვინდა, ეს ადამიანი უფრო ახლოს გავიცნოთ და თქვენც გაგაცნოთ.

ჯანი ანიელი გამოიყურებოდა, როგორც ადამიანი, რომელსაც შეეძლო, 100 წელი (81 წლის ასაკში გარდაიცვალა) ეცხოვრა. იუვენტუსისა და ცხოვრების რაოდენი სიყვარული იყო ჭაღარა მოხუცის თვალებში. მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად განსაჯა.

ზამთრის მზიან დღეს „ადვოკატი“ წავიდა. ადამიანი განსაკუთრებული ძალით, რომლის აღწერა ერთი იტალიური ხუმრობით შეიძლება: რომის პაპი წმინდა პეტრეს მოედანზე მესას ატარებს, ამ დროს პატარა ბიჭუნა მშობლებთან მიირბენს და ეკითხება – ვინ არის ის ქუდიანი კაცი, მისტერ ანიელის გვერდით რომ დგას?

რატომ ეძახიან ჯოვანი ანიელის ჯანის? ყველაფერი მარტივია. სახელი ბაბუის პატივსაცემად დაარქვეს და, რომ გაერჩიათ, უმცროს ანიელის შემოკლებით სახელს ეძახდნენ. ჯანის იტალიაში ადვოკატსაც უწოდებდნენ. ახალგაზრდობაში კანონებს კი სწავლობდა, მაგრამ ადვოკატად არასდროს უმუშავია.

საერთოდ, ყველამ ძალიან ცოტა იცის მის ცხოვრებაზე და ეს გასაკვირი არ არის. ჯანი ანიელის ცხოვრება გამოცანაა თვით მისი უახლოესი მეგობრებისთვისაც. ამასთან, ის ღია იყო საუბრებისთვის და უაღრესად ზრდილობიანი. ეს იყო მისი იარაღი, დაეჭირა ხალხთან დისტანცია. რა თქმა უნდა, მას უყვარდა თავის ირგვლივ კომპანიის შეკრება, მაგრამ უამრავ ხალხთანაც კი ყოველთვის მარტო იყო თავის თავთან. ჯანის, თავისი მეგობრების თქმით, არასოდეს მიუმართავს დახმარებისთვის არავისთვის, იყო ეს პრობლემები ბიზნესში თუ პირად ცხოვრებაში.

ანიელის არასდროს აუყვანია პირადი დაცვა. ჩვეულებრივად, ასე ამბობდა – ისინი ბევრს ხედავენ და ბევრს ლაპარაკობენ.

იმ დროს, როცა იტალიაში ტერორისტული საფრთხე დიდ ძალას წარმოადგენდა, ერთმა ტერორისტმა აღიარა, რომ იმ ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სადაც ანიელი სეირნობდა, მაგრამ ტყვიას, ალბათ, ვერ გაარტყამდა.

მთელი იტალია და კონცერნი ფიატი, ფაქტობრივად, მას ეკუთვნოდა. იტალიელი ხალხი და მისი თანამშრომლები ხშირად იყენებდნენ ლოზუნგს: ანიელი – ეს ფიატია, ფიატი ტურინია, ტურინი კი იტალიაა. ადვოკატის ქონებას 2 მილიარდად აფასებდნენ, მაგრამ, სინამდვილეში, ციფრები გაცილებით დიდი იყო.

ჯანი ანიელი აკონტროლებდა იტალიის საფონდო ბირჟის მეოთხედზე მეტს, ასევე საწარმოთა ჯგუფს, რომლებშიც 360.000 ადამიანი მუშაობდა. მისი გატაცებები იყო აგრეთვე საგამომცემლო ბიზნესი და გაზეთების გამოშვება, სადაზღვევო კომპანიები, კვების წარმოება, მანქანათმშენებლობა, მშენებლობა და ყველაზე დიდი სიყვარული მის ცხოვრებაში – ტურინის იუვენტუსი.

კლუბის მიმართ სიყვარული ჯანიმ ჯერ კიდევ 4 წლისამ გამოავლინა, როდესაც პირველად ნახა გუნდი. 14 წლისამ მამა დაკარგა. ედუარდო ანიელიმ მამამისის ჰიდროთვითმფრინავით კატასტროფა განიცადა. ბაბუამ 14 წლის ჯანი ტურინული გრანდის დირექტორთა საბჭოში შეიყვანა.

მოგვიანებით, პრესასთან მიცემულ ინტერვიუებში ანიელიმ მოდის, ეკონომიკის, სპორტისა და პოლიტიკის საოცარი ცოდნა გამოავლინა. ის კი არა, კონკრეტულ ფეხბურთელებზეც თავისი ცოდნით დიდ შთაბეჭდილებებს ახდენდა. ფიატის შტაბბინაში მუშაობის დროს თავისუფლად შეეძლო, დაერეკა ნებისმიერი ჟურნალისტისთვის და რომელიმე ფეხბურთელით დაინტერესებულიყო, რომლის შეძენასაც იუვენტუსში აპირებდა. პრინციპში, ცოტ-ცოტა ყველაფერში ერკვეოდა, რაც უპირატესობას აძლევდა მოსაუბრეებთან და ბევრჯერ დაეხმარა საერთო ენის გამონახვაში.

ანიელი ასევე ცნობილი პლეიბოი იყო. მისი თეთრი პერანგი ღილებზე არასდროს იყო შეკრული ბოლომდე, რომლის მანჟეტებიდან მოდური საათი ჩანდა. მისი სტილი მაშინდელ მოდის მიმდევრებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ყველას უნდოდა, მიმსგავსებოდა ჯანის. როგორც იტალიელები იტყოდნენ – ბელა ფიგურა: ჭკვიანი, წარმატებული, მდიდარი და ლამაზი. არავისთვის იყო საიდუმლო, რომ დაქორწინებულიც კი აგრძელებდა სასიყვარულო თავგადასავლებს, რასაც შემდეგი სიტყვებით ამართლებდა:

– მე მართლა მიყვარს ყველაფერი მშვენიერი ცხოვრებაში, ლამაზი ქალი კი მასში ყველაზე მშვენიერია.

ის მხოლოდ ძლიერ პიროვნებებთან აბამდა რომანს. მისი საყვარლები პაპარაცების თვალთვალის ობიექტები ხდებოდნენ. ესენი იყვნენ მომღერლები, ლამაზი მოდელები, ყოფილი ცოლები და მათ შორის ჯეკი კენედი – ამერიკის პირველი ლედი. ყველა მათგანმა ანიელის ვილა გაიარა. ჯანისთან ცხოვრების ნაწილის გატარების შემდეგ ამბობდნენ, ეს ბრწყინვალე მოგონება იქნება მთელი ცხოვრების განმავლობაშიო. თვითონ ანიელი საიდუმლოდ ინახავდა რომანებს და ამბობდა:

– არიან კაცები, რომლებიც ქალებზე ლაპარაკობენ და არიან კაცები, რომლებიც ქალთან ლაპარაკობენ. მე არ ვლაპარაკობ მათზე, მე მათთან საუბარს ვარჩევ.

ჯანის ორივე მშობელი ავარიაში დაიღუპა, მაგრამ თვითონ თავისი ცხოვრებით თამაშობდა, დანის პირზე გადიოდა. მან რამდენიმე ავარია გამოიარა, მაგრამ თავის ლოგინში გარდაიცვალა. ერთხელ ჯანი თავისი ფერარით 200 კმ/სთ-თ სერიოზულ ავარიაში მოყვა, როდესაც გვერდზე გოგონა ეჯდა. პირველი აზრი, რაც დაებადა – როგორ იყო გოგონა. როცა დარწმუნდა, ყველაფერი წესრიგში იყო, სთხოვა, მისი პიროვნება საიდუმლოდ შეენახა. თვითონ მანქანაში იყო ჩაჭყლეტილი, ფეხი მომტვრეული ჰქონდა, თავი გატეხილი. 3 თვე ლაპარაკიც არ შეეძლო.

ჯანი მოდის კანონმდებელი იყო, მაგრამ ბიზნესის უგულებელყოფა ბოლომდე არ შეეძლო. როდესაც მისი ბაბუა, ფიატის დამაარსებელი გარდაიცვალა 1945 წელს, მთელი ბიზნესი თავის შვილიშვილს იტალიისთვის ერთ-ერთ ყველაზე ბნელ პერიოდში დაუტოვა.

ჯოვანი ანიელი უფროსი ფაშიზმთან თანაცხოვრობდა, მაგრამ, როდესაც გარდაიცვალა, ფიატი საშიშროების წინაშე დადგა. ჯანი მწარმოებლისთვის ახალგაზრდა იყო. მან შეძლო ამერიკელების დარწმუნება, რომ ფიატს კერძო ხელი სჭირდებოდა. თავის მხრივ, ისინი ბედნიერები იყვნენ იმის აღიარებით, რომ ფიატის საოჯახო ბიზნესი იტალიაში თავისუფალი წარმოების ციტადელი შეიძლება გამხდარიყო. კომპანიის მართვა ვიტორიო ვალეტას ჩააბარა, რადგან მძიმე პასუხისმგებლობის ახალგაზრდა მხრებზე დადება ჯერ ადრე იყო. მმართველი დირექტორი ანიელი 1963 წელს გახდა, ხოლო თავმჯდომარე – 1966 წელს. ფიატი იზრდებოდა, თუმცა იყო პატარა ჩავარდნები.

ერთხელაც იტალიაში დიდი გამოძიება დაიწყო, რის შედეგად ბევრი კორუმპირებული გამოვლინდა. ფიატის როლი იტალიაში უდიდესი იყო, ჯანის რეპუტაცია კი – ხელშეუხებელი, რასაც სხვა ბიზნესმენებსა და პოლიტიკოსებზე ვერ ვიტყვით. ჯანი არა სიტყვის, არამედ საქმის კაცი იყო. ჯანი უდარდელი კაცი იყო, ხოლო დაძაბულობის პიკი 2000 წელს ჰქონდა, როდესაც მისმა შვილმა ედოარდომ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ბევრი თვლის, რომ ამან დააჩქარა მისი ავადმყოფობა და სიკვდილი. შვილის მიერ ისლამის მიღებამ დაარწმუნა, რომ მისი ერთადერთი ვაჟი ოჯახის სიმდიდრის მართვისთვის გამოუსადეგარი იყო.

ედოარდოს ცხოვრების სტილი ფიატის საქმეებიდან შორს ამყოფებდა. ერთადერთი, რაც ადარდებდა, იუვენტუსი იყო. ის ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი იყო, რაც დაეხმარა იუვენტუსს 80-იანებში. აღსანიშნავია შემთხვევა, რომელიც 1986 წლის 20 აპრილს მოხდა. „ბებერი ქალბატონი“ ლეჩეს ხვდებოდა. ედოარდო მოედანზე გავიდა და ტრაპატონის გვერდზე დაჯდა. შემდეგ ასე ახსნა ეს – ძალიან მნიშვნელოვანი იყო ფეხბურთელების გამხნევება და მოედანთან ასე ახლოს ყოფნა.

ჯანის ქალიშვილი, მარგარიტა, ყველაზე დიდი პრობლემა აღმოჩნდა. 2003 წელს მამის ქონების სრული ანგარიში მოითხოვა და განაცხადა, რომ არასდროს მიუღია წილი, ხოლო როცა მისი შვილი, ლაპო ელკანი, ფიატის მემკვიდრე გახდა, შეკითხვები უფრო მეტი გაჩნდა. მან სასამართლოში უჩივლა მამის ქონების ძველ განმკარგველსა და იმ ხალხს, რომლებიც ქონების დაგროვებაში ეხმარებოდნენ ჯანის, რათა უფრო დიდი წილი მიეღო მემკვიდრეობიდან. პასუხგაუცემელი შეკითხვა ბევრი დარჩა. დაზუსტებით არავინ იცის, სინამდვილეში აქტივები, ქარხნები, ფირმები და ა.შ. რამდენი ეკუთვნოდა ჯანის. მარგარიტა კი ჟენევაში გაიქცა და ანიელების დანარჩენი ოჯახი გადაიმტერა.

ჯანი ანიელი მჭიდრო კავშირში იყო იუვენტუსთან. მისი ოჯახი კლუბს 1923 წლიდან ფლობდა. თვითონ ჯანი პრეზიდენტი იყო 1947-54 წლებში. იმ წლებში ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელები გუნდისთვის იყვნენ დანიელი ჯონ ჰანსენი და კარლ ოგე პრასტი, იტალიელები კარლო პაროლა და ჯამპიერო ბონიპერტი, მაგრამ დროის უკმარისობისა და ჯანმრთელობის გამო პრეზიდენტობის გადაბარება მოუხდა. თუმცა, რა თქმა უნდა, მონაწილეობდა კლუბის ფორმირებაში, მის საკადრო პოლიტიკაში. პირადად ჯანიმ გადაწყვიტა, რომ მიშელ პლატინის აქ უნდა ეთამაშა, რომელიც შემდეგ 3-ჯერ გახდა „ოქროს ბურთის“ მფლობელი.

ჯანის არა მხოლოდ ფეხბურთი, ფორმულა 1-ც აინტერესებდა, თუმცა, როცა გარდაიცვალა, ფერარის არ მისდიოდა საქმეები მაინცდამაინც კარგად, ოღონდ არა იუვენტუსს – ტურინელები იტალიის ჩემპიონები გახდნენ.

ჯანი ხშირად ჩადიოდა პირადი ვერტმფრენით ვარჯიშებზე, ესაუბრებოდა ფეხბურთელებს, კლუბის საქმეებით ინტერესდებოდა. ყველა მისი ვიზიტი გაზეთების ჰედლაინერი ხდებოდა.

ჯანი მეტი იყო, ვიდრე პრეზიდენტი. ის ყოველთვის ინფორმირებული იყო ფეხბურთელებზე და ხშირად მიჰყავდა იუვენტუსი თავის „სახლში“ – ვილარ-პეროზაში ამხანაგური თამაშების გასამართად. მას განსაკუთრებული თბილი ურთიერთობა ჰქონდა ალესანდრო დელ პიეროსთან, ხოლო მისი ზარები დილის 6 საათზე კლუბის პრეზიდენტ ჯამპიერო ბონიპერტისთან ლეგენდად იქცა.

ჟურნალისტებისთვის ჯანი ყოველთვის მნიშვნელოვან პერსონად რჩებოდა თავისი გამონათქვამებით, რომლებიც აღაფრთოვანებდა პრესას.

წარმოუდგენელი მემკვიდრეობა დაუტოვა იუვეს გულშემატკივრებს გულში. მას უყვარდა იუვენტუსი მხოლოდ იმიტომ, რომ ის არსებობდა. არასდროს უშვებდა შანსს, რომ ენახა საყვარელი გუნდის თამაში. როდესაც ფეხები არ ემორჩილებოდა და სიარული არ შეეძლო, ტელევიზორში უყურებდა იუვეს მატჩებს, თან არავინ იცის, შეეძლო თუ არა თამაშის ყურება, რადგან მხედველობაც უარესდებოდა. მისი ცოლი ყვებოდა, რომ ჯანი არასოდეს წუწუნებდა და არ ამბობდა, რომ არ შეეძლო თამაშის ყურება. მას უკვე ისიც ახარებდა, რომ შეეძლო თავისი ცხოვრების კლუბზე კომენტარების ხმის გაგონება.

ჯანის არასოდეს უღიარებია ცოლთან სიბრმავე. ასეთი იყო ჯანი. მას არ უნდოდა, ვინმეს ხელი შეეშალა მისი იმედებისთვის, ბოლოს და ბოლოს, მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეძლო იუვენტუსმა, გამხდარიყო მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კლუბი.

ჯანის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო ცნობილი კალჩოპოლო იტალიაში, რის შედეგადაც ყველაზე მეტად იუვენტუსი დაიჩაგრა. მაშინ იუვეს ხელმძღვანელობა და გულშემატკივრები ამბობდნენ, რომ ჯანი ანიელის სიცოცხლის პერიოდში ამას ვერავინ გაბედავდა.

ფეხბურთელი, რომელსაც სიცოცხლის გადარჩენისთვის დასცინეს

ილუნგა მვეპუ – ეს სახელი და გვარი ვინმეს რამეს გეუბნებათ? ალბათ, ძალიან ერთეულებს, რადგან ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. უფრო ფეხბურთში ღრმად ჩახედული ქომაგისთვის იქნება ნაცნობი. არადა, ის ჟესტი, რომლითაც მან ფეხბურთის ისტორიაში დაიმკვიდრა ადგილი, წლების განმავლობაში მილიონობით ადამიანმა ნახა. ამ მომენტს კი თავისი ისტორია აქვს – პოლიტიკური და ბარემ ნათელი გახდეს, თუ როგორ იყო იმთავითვე ერთმანეთს გადაჯაჭვული ფეხბურთი და პოლიტიკა. არადა, მვეპუ მთელი ეს წლები დაცინვის ობიექტი იყო.

